

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 7

2019



მთ. რედაქტორი

ერეკლე სალიანი

პოეტი, ამერიკის

მართლმადიდებელთა კავშირის

ლიტერატურული კონკურსის

გრანპრის მფლობელი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-621-8 (7 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).





კოეტის ასტომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუს-თვალს აკაკის და ბალაკტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შეგა-ღარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვირდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვა-ჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბა-რი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწივის, აიეტის ხელით დარ-გული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტო-ტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლ-ხური უსაღმუნების“ იბაგმიუვლომელი ასტომეული დაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმძირელი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომე-ტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებე-ბით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქ-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღეამიწაზე...

კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგე-ლუჟაპი მისწოლია... მათ იცინან იმ იწყება დღეამიწის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიშვილი

კოეტი, ბალაკტიონ ტაბიძის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„ბულცივად უხვფი ყოველ ძეგას, ყოველ
ძაბეგას.“**

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

პოეტის სიდიადის წყაროა მორწმუნეობა, იგი „მონათლულია სულიწმინდით, წყლით და ცეცხლით“ (ასე ეწადა ალბათ განგებას), „უფლის ნათელღებულია“ (ღამეები დღის იქით). ქრისტე შეაგონებდა მოწაფეებს, რომ ცაში დაეუნჯებინათ საუნჯე (ლუკა, 12, 13).

ამ სიბრძნის მიმდევარი პოეტი ამბობს: „სინათლის და მზის მარცვალი, სიყვარულის ცაში თესე, მოსავალს კი აწი ელი“ (მეჩანგე და შაირთმთხზველი).

მიტომაც მისი „... ცის ყანა ბევრჯერ ღურჯად ადაღანდა“. რწმენის საზღაური იყო უფლისგან ნაბოძები „ჭეშმარიტების მადლის“, უფლის მადლის გადმოსვლა პოეტზე (მადლი ჭეშმარიტების).



„ცის სიდიადით“ და „მიწის სურნელით“ გამორჩეულ სიტყვაში ერთდროულად იხილება „სასრული და საწყისი“ (ღმერთი), იაკობის კიბე, გედეონის საწმისი (ღვთისმშობელი):

„მოდის ღამის წყვლიადით სიტყვები სასურველი, ახლავს ცის სიდიადე, დაჰკრავს მიწის სურნელი. ხედავ? უამი ბებერი ჯერ ვერაფერს გიბედავს, რადგან თვალში გიბრწყინავს სასრულიც და საწყისიც, იაკობის „კიბე“ და გედეონის „საწმისი“ (მოდის ღამის წყვლიადით).

„გონის სარკით“ შორეთში პოულობს ღმერთს – ჩვენი „სულების იასამანს“: „გონის სარკე შორეთში ეძებს ცისფერ საგანეს ასე დაუსრულებლივ, სადაც ჩვენი სულების ყვავის იასამანი“.

პოეზიის უპირველესი მისია, რაც ინიციაციას, გაწმენდას გულისხმობს, ასე ორიგინალურად არის გამოხატული:

„სიხარულად მოფრენილი, ცის ვარდისფერ გონს მოსული, სურს, რომ „ოქროს ნავს“ არწვედეს და მოსვლიდან მგონის სული, ღექსში ეძებს განსაწმენდელს“ (სიხარულად მოფრენილი).

სიხარული ქრისტეს სახელია, ცის ვარდისფერი გონი საღვთო სიბრძნე.

ღექსში ნახსენები „ოქროს ნავი“ იგივე ძელია (ჯვარი) ცხოვრების ცოდვილ ზღვაზე გასასასვლელი (ნეტარი ავგუსტინე) (7, 453).



ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მფლობელი პოეტი არის მესაჭე, მენათმოდღვარი, ზღვაში დანთქმულ ცოდვილთა მშველელი, ქრისტესავით ადამიანთა გულების მებაღური:

„გაქვს საუნჯე უღევი, გაცემ, სანამ ადრეა, ცით ხმა გესმის „ნადურის“ და შენ, როგორც სიმონი, ანდა როგორც ანდრია, ქრისტეს ძეთა გულების – გსურს იყო მებაღური“ (მებაღური).

პოეტის მისია მოციქულისას ედრება: „შენ კი დედამიწაზე, ვით პავლე მოციქული, თესავ მარცვლებს სიკეთის“ (ლამე უყრის დილამდე).

პოეტის სიტყვა „ცვივა ციდან ციურ მანანად“ (შენი სული). უზენაესთან წილნაყარი, ზეციური მამების მაძიებელია: „...და მოუხმობ ციდან მამებს! აფერუმ შენს რაინდობას, შენს პოეტურ სითამამეს“ (მნათებს უფლის ანგელოზებს).

პოეტი არის მისანი, ღვთის ხატად შექმნილი, რომელსაც უზენაესივით, წინასწარმეტყველივით ხელეწიფება სიტყვით სასწაულის მოხდენა: „ბევრი ათასწლეულის ზღვები რომ გადალახა, და ახლაც რომ ელის მზეს. შენი სიტყვის ბალახი მიცვალებულს აცოცხლებს, ვით მენცარი ელისე“ (სიტყვის ბალახი).

პოეტის მხერა „მგრგვინავ ცას“ ამშვიდებს, ბობოქარ ზღვას სიტყვით აწყნარებს (ლამეულ ფსკერზე).



ჭეშმარიტი სიტყვა ღამეში ელვა და ქუხილია, ხილულის და უხილაის მჭვრეტელი (ღამის სიმყუდროვეში).

პოეტს შვენის ღმერთებთან დავა, ბიბლიური იაკობივით ღმერთთან ჭიდილი, „პოეტების მეფესთან“ შერკინებას არ უშინდება, რადგან ჩვენს თანამედროვეს განჭვრეტელი აქვს, სად დაიწყო, სად დაამთავრა დიდმა წინამორბედმა და „უვალ გზებს“ გასცქერის: „სადაც გალა მთავრდება, შენ იქიდან იწყები“.

მკითხველი მოწმეა იმისა, რომ მის გვერდით დაიარება „ვაჟას სისხლის წვეთი“, ვაჟა ფშაველას „ძმა, ... წინაპარი, თანატოლი“ (მთაწმინდაზე წევხარ ახლა), „ფშაველას დიდი მზის სხივი“ (პოეზიის არწივი).

ორ ქართველ სიტყვის გოლიათს გამოარჩევს განსაკუთრებით: „შენ ხარ შოთას ნაგრამი და დიდი ვაჟას ნატამალი“.

მათთან სულიერ ნათესაობაზე დაბეჯითებით კეთდება აქცენტი: „შეცვლერი მთას და მწვერვალებს, უქრობი ცეცხლი მედება, შოთას ფარი და შიმშირი გზას მიკვლევს, მემედება მაგრამ მე ვაჟა მიშველის“ (იმედი).

არა გამეორება გადამღერება წინაპარი გოლიათების სულიერი მემკვიდრეობისა, არამედ მისი შემოქმედებითი გათავისება და ორიენტაციის აღება იმაზე, რაც სხვებს უთქმელი დარჩათ, ასეთია „კოლ-



ხური ფსალმუნების“ ავტორის მიზანი: „ვით დიდი მთები და მწვერვალები – პონტოს მწუხარე ზღვაში აბზინდა – ის, რაც დიდ ვაჟას დარჩა უთქმელი. შენი ლექსების ფარზე აზიდე სიამაყე და სიბრძნე რუსთველის“.

კოლხი ქრისტეს მხედარი თავისი ღვთაებრივი გონის, „გონის სარკის“, „ცის ვარდისფერი გონის“, „გონების თვალთვალის“ (ღმერთის) მოიმედვა, „რუსთველივით ზემხედველი“, „... ცის მხსიბავი, მაღალი და მაღლად მხედი“...

რუსთველის, ვაჟას, გალაკტიონის დიდი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე პოეტი „სამყაროს სულა“, სიბრძნის ზღვა ოკეანედ ქცეული, ფაზისისკენ მისწრაფი „არგო“, არა ბაიათების, არამედ ღვთიური, „სულის მზრდელი“ გალობების დიდ – ოსტატი, ზესკნელში მნათობად აელვარებული სიტყვის მეუფე: „ენა ვაჟას და გალაკტიონის (გარდაუვალის გარდუვალობა) ვედარ წაღვეკეს ბაიათებმა. ქართულ მიწიდან აღმომსკდარი შენი გალობა, გამოესხმება ზესკნელს მნათებად“ (ენა ვაჟას და გალაკტიონის).

სპირიტუალისტებივით, დანტეს, გოეთეს, ჰომეროსს, ვაჟას ესაუბრება, „სიყვარულის მაღალი კიბით“ ღმერთის სავანეს უახლოვდება, „გონის სარკით“ შორეთში ეძებს „ცისფერ სავანეს“, წმინდა „სულების იასამანს“...



ენქიდუსა და გილგამეშს ხედება მარადიულ სატკივრებზე სასაუბროდ, „ოკეანეში ქვეგამხედვარი“, მედიუმივით ესიტყვება მზეგადასულთა სულებს...

აიეტის მზიურობა, მზის შვილობა, მთვარის, ზღვის, ქარიშხლის ძეობა, აქილევსის შემართება, ოდისევსის მოხერხება ამშვენებს, მარადისობა „შუბივით“ უპყრია ხელთ, მისი „იარაღია“ „მზე“ და „სიხარული“ (ღმერთი).

წმინდა ნილოს სინელი მოგვიწოდებს: „ფსალმუნთგალობას ნუ დაცხრებიან ბაგენი შენნი: რამეთუ ღვთის სახელის ხმობა განასხავს ღმერთთ.

„გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად შეგექმნება.

„ღვთის სახლი გიყვარდეს, ხოლო თავი შენიც ქმენ სახლად ღმერთისად.

„ტაძრად ხვიდოდე, ვითარცა ზეცად.

ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას“ (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991, გვ. 106, 107, 111).

„ზენარული გონების“ თანაზიარნი, ცაში „ციური საზრდოს“ მიმღებნი დანტეს „ღვთაებრივ კომედიასში“ კრავის სერობის მონაწილე ხდებიან და „მარადუამული სათავის წყაროს“ სვამენ: „ჰოი, ვინცა ხართ წოდებულნი სერობად კრავის, აკი თავად სვამთ მარადუამულს სათავის წყაროს“ (გვ. 371).



ცაში მიმსწრაფი, ქერუბიმების გალობის მოსმენის უნართ მომადლებული ქართველი პოეტი უფლის სუფრას ეზიარება:

„გალობის და ჩანგთა ჟღერის და ხმა გესმის ქერუბიმთა. ცისკენ შენი გეზი არი. ეშმას არა, გსურს ცის გაშლილ უფლის სუფრას ეზიარო“ (გალობის და ჩანგთა ჟღერის).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი „საიდუმლო სერობის“ მონაწილეა და მისი ღირიკული შედეგები ამიტომაც ამეტებს დიდ ტილოებს: „შენი ლექსი, ციცქნა ლექსი, დიდ ტილოებს მიტომ მეტობს, საიდუმლო სერობაა მასში ბევრი, ვითარც ფუნჯში ტინტორეტოს“ (შენი ლექსი).

დავით წინასწარმეტყველისთვის „ძალა და სიმღერაა უფალი“ (ფს. 117, 14) (8, 651).

ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „ვემდერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე (ესაია, 5, 7).

შეყვარებული, სიყვარული ღმერთია, ვენახი ხალხი, სიყვარულის სიმღერა საღვთო მოტივები.

ღვთისმეტყველთა, წინასწარმეტყველთა ხსნა, ძალა და სიმღერა ღმერთია: „აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (ესაია, 12, 12).

გალაკტიონის მიხედვით, ერთადერთი ხსნა და იმედი სიყვარულია, სიყვარულის სიმღერაა: „... გულში ჟღერს რა ხანია, სიყვარულის სიმღერა, როგორც



ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი, ხუთტომეული, ტ.3, გვ. 24).

სიყვარული ღმერთია (იოანე I, 4, 8).

თანამდევნი ნადირის შიშს „სპეტაკი პეგასის“ მხედარი ვაჟა ეგრისელი „სიცოცხლის სიმღერას“ უპირისპირებს:

„ზიხარ სპეტაკ პეგასზე და სიცოცხლის სიმღერას მღერი, ვით ავთანდილი. მაგრამ იცი, რომ მოგდევს გზა და შიში ნადირის“.

სიცოცხლე, ცხოვრება ღმერთია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, ცხოვრება“ (იოანე, 14, 6).

ვაჟა ეგრისელი „სიცოცხლის“, სიყვარულის, ანუ საღვთო სიმღერას მღერის.

პოეტის მიზანია, მოიხელთოს „ციურ აზრთა ნადავლი“ საღვთო სიბრძნე, რის სიმბოლოდაც ესახება „ოქროს საწმისი“ და გრაალი.

„ინიციაციური სიბრძნე უმეტესად სიმბოლიზირებულია ქალით, საუნჯით, ოქროს საწმისით, გრაალით“ (15, 213).

„გრაალის ძიებას ძველ მისტერიათა ენაში შეესაბამება“... ოქროს საწმისის ძიება, რომელსაც კლასიკურ გრაალსაც უწოდებენ“ (15, 272).

„კავკასია, სადაც ეგულებოდათ ოქროს საწმისი, პერმეტულ ალქიმიკოსთათვის იყო ფილოსოფოსთა მთა... და ეწოდებოდა... ზეციური რწმენის მადანი. ოქროს საწმისის ძიება ზეცნობიერის, უმაღლესი სუ-



ლიერების ძიებად ითვლებოდა ისევე, როგორც გა-
ლაადის და სხვათა მიერ გრაალის ძიება“ (15, 273).

„გრაალის მისია ეს არის სულიწმიდის მისია.
გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმი-
დისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდით
გამსჭვალული ადამიანი“ (15, 38).

არავის იმდენი არ უწერია ამ თემაზე, რამდენ-
ნიც ვაჟა ეგრისელს. იგი ოქროს საწმისის „მედრო-
ში“ და გრაალის ორდენის ჭეშმარიტი რაინდია, რო-
მელმაც ამ ფენომენების ძიება-გააზრებას შეაღია
უდიდესი პოეტური ძალისხმევა (იხ.

„გრაალის ორდენის რაინდები მეოცე საუკუნის
ქართულ ლიტერატურაში“) (16-124-151).

პოეტი „სიყვარულს“ სვამს ამ წმინდა „თასი-
დან“ (ვარსკვლავებში გადამალულ), გრაალის თასი-
დან ეწაფება

„სომასა და ჰომას“ (უკვდავების სასმელს).

ეს იდეალი სახელდება, როგორც ნათლით
სავსე თასი, უფლის ქვაზე აღესილი თასი, რწმენის
თასი, ოქროს თასი, გრაალის თასი, მზის ფიალა,
ზეციური რწმენის თასი, ოქროს საწმისი, ჰელიოსის
თასი, მზის თასი, ბარძიმი, გონი კაცობრიობის სიბ-
რძნის ქვაზე ნაღესი, სიბრძნის წყაროს თასი, მზით
სავსე გრაალის ლურჯი ბარძიმი, ცვრიანი სასმისი,
სინათლით სავსე ბარძიმი, ბედის ბარძიმი.



პოეტი ამ სიწმინდეს ეძებს ცაში, ზღვაში, ვარსკვლავებზე, შამბალაში, ანდებში.

ასევე ეძებს „აღდგომის კუნძულს“, პოლარულ მთას, ხსნის მთას, გრაალის კოშკს... და ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელის მოვლის, მთელ მსოფლიოში ძიების შემდეგ ასკვნის, რომ გრაალის, „ფილოსოფიური ქვის“ სავანე კოლხეთია: „აჰა, ჩემი კოლხეთი; ურთა და ჩე გოლა და სხვაგან რომ ეძებენ მავანნი:

„ხსნის მთა“ აქვეა და „ფილოსოფიური ქვის“ სავანე“ (აჰა, ჩემი კოლხეთი).

ამ მოსაზრებას არავითარი დაეჭვება არ ახლავს: „შოორ წარსულში აფრებს შლის სული ლაზურ-მეგრული. ვიცი, პონტოს ზღვაშია ღვთაებრივი კუნძული, თანაც „პოლარული მთა და თასი იქ მეგულვის“ (შოორ წარსულში).

გრაალის კოშკი ციხე-გოჯთან ელანდება (გრაალის მოლანდება ციხე-გოჯთან).

ეს თვალსაზრისი ეფუძნება ჰეროდოტეს ცნობას (ძვ. წ. V ს.), რომ კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონიათ.

ასეთი შეხედულების მასაზრდოებელია კოლხეთთან დაკავშირებული ოქროს საწმისის ლეგენდა.

სინამდვილიდან ამოზრდილი ლეგენდა ფრთებს შლის და ჰიმალაის მთას, შამბალას უკავშირდება სამეგრელოს „ჩე გოლა“, ურთას მთა: „ცათა მიღმა მთიები კრთიან როგორც ანბანი ძველი კოლხურ-მეგ-



რული. ჩე გოლაა შამბადა, ურთას მთა კი ანდები და თასი იქ მეგუღელის“ (ცათა მიღმა მთიები).

აქვე ხდება ასოცირება „ჩე გოლას“ და ქორიბის მთასი, სადაც მოსემ ღმერთი განმანათლებელი ცეცხლის, ხოლო მარიამის შეუწველი მაყვლის ბუჩქის სახით იხილა და ეს უზენაესი ხილვა სუბლიმირებულია საწმისის და გრაალის ფენომენში: „მილიონი წლის მერე, „ჩე გოლასთან“ ისე, ვით მაღალ მთაზე ქორიბის, მაყვლის ბუჩქს რომ ააღებს, არის ოქროს საწმისი ანდა თასი გრაალის“ (ჩე გოლასთან).

ათეიზმის უამს „ცა და ღმერთწართმეული“ პოეტის სულს გრაალისა და საწმისის ნათელი ასხივოსნებდა, „მზის, გრაალისა და ოქროს საწმისის გარეშე“ ცხოვრების აზრს ვერ ხედავდა და დაბეჯითებით შეექლო ეთქვა: „შენ ერთი ფლობ მისტერიას საწმისის და გრაალის“ (კოლხთა ღვთიურ ისტორიას).

ასევე საფუძვლიანია განაცხადი: „შენ კი, ვით ტიტურელი, ხარ გრაალის მფლობელი“ (მეფეთა და ვაზირთა საქმეებს).

მართებულია, როცა პოეტი გრაალის 180 მცველთაგან, თანამედროვეობაში თავის თავს მოიაზრებს გრაალის რაინდად: „რაინდებს კი გრაალის ყოფნის მწვანე ჭაღლაში, აქ არყოფნის ცელი და... დღეები, ვით ბალახი, დამეს ფერხთქვეშ ერთხმინ...



და გრაალის 180 მცველიდან, დღეს ცოცხალი ერთია“ (გრაალის მცველი რაინდები). პროექტის ცნობიერებაში გამუდმებით ელავს „ხსნის მთა“ და მთავარ მიზნად უქცევია გრაალის თასის გამოხსნა ისევე, როგორც ტარიელმა ქაჯეთის ციხიდან გამოიხსნა ნესტან-დარეჯანი, წმინდა გიორგიმ ქაჯავეთიდან წამოიღო ბარძიმი.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი მიმართავს ლეგენდას, რომლის მიხედვით, გრაალის მცველებში მოიაზრება მეფე ხუცეს-იოანედ სახელდებული დავით აღმაშენებელი, „ძე დიდ ფაირეფიცის“ (გრაალის მცველი).

გრაალის ტაძარი ცვალებადობის მიღმა დგას, ხოლო გრაალის თასი არ გაიყინება, როგორც „მზის სვეტები“, ირწმუნება პროექტი.

„ოქროს საწმისს ჰგავს საქართველო“ და სამშობლოს არსს, მისიას, მხოლოდ მაღალი საწყისების თანხლებით მოიაზრებს პროექტი.

გრაალის სისხლით სავსე თასი ეზმანება წიწამურთან, რადგან ერის სულიერი ბელადის ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჯვარცმის გამეორება იყო ჩვენი სამშობლოსთვის.

გრაალის თასის მიწაზე დაპირქვავებად ესახება 1924 წლის აჯანყების დამარცხება, როგორც რწმენის, სულიერების, თავისუფლების ხელყოფის გაუგონარი ფაქტი.



საგულისხმო, მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტის მქონე

განაცხადია, რომ გრაალის თასის, ანუ „ზეციური რწმენის მადანის“ სავანე პოეტის „კოლხური ფსალმუნებია“:

„დასაბამიდან ქვესკნელში, ზესკნელში დაექებს მრავალზე მრავალი, რაინდთა, მეფეთა ამაღლა. მოვიდა პოეტი და თასი გრაალის, „კოლხურ ფსალმუნებში“ გადამალა“ (დასაბამიდან).

ასე ხდება პოეტის ფსალმუნები სამების სრულუფლებიანი წევრი, როგორც კაცობრიული საღვთო გონის, „ციურ აზრთა ნადავლის“ შემკრები ფენომენი: „მიჰქრიან ელვათა ნაშობი წლები, ისე ვით წამები. არ უჩანს ბოლო, არც საწყისი. ერთია ის, ვითარცა სამება: გრაალი-ფსალმუნი-საწმისი“.

ერთ ლექსში კოლხეთს უკავშირდება საწმისი, გრაალი, ეფუთი: „ვით მამა, ძე და სულიწმინდა, ერთია, მაგრამ სამებაა. სამივე კოლხურ გენს ეკუთვნიან: საწმისი-გრაალია. გრაალი იგივე ეფუთია“... (ეფუთი გადმოცემით კოლხურ ენაზე არსებული ბიბლიამდელი სიბრძნის კრებული, სადაც მოცემული ყოფილა სამყაროს წარსული, მომავალი და ნაწინასწარმეტყველები ქვეყნის სასრულიც (მიჰქრიან ელვათა ნაშობი წლები).

ეს სამება, ღვთით ხელდასხმული და დაკავშირებული კოლხეთთან, შეუძლებელია ერთმანეთის გა-



რეშე წარმოიდგინო: „შენს ხმაში მძვინვარებს სიმაღლე სამუშის. უფალმა ასე დააწესა: აღარც გრაალია და აღარც საწმისი, უკოლხეთოდ და უკოლხურ-ფსალმუნოდ“ (შენს ხმაში).

გრაალთან ასოცირებულია „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საღვთო სიბრძნით გამორჩეული ნაწარმოები: „რამაც უკიდევანო სამყარო გააოცა და... ბევრ, სხვა ათასივით, ვიღებ

„ვეფხისტყაოსანს მე, გრაალის თასივით“ (რამაც უკიდევანო სამყარო გააოცა).

„კოლხური ფსალმუნები“ შემოქმედებითად ესმიანება ებრაულ ფსალმუნებს: „ბიბლიიდან ვუხმობ დავითს, ვით ბიბლიურ მეფსალმუნეს“ (შორეულზე შორეულმა).

ქართველი პოეტის და დავით წინასწარმეტყველის შეხვედრის ასპექტია რწმენა, ღმერთი: „ისე, ვითა დავითის, ჩემს კოლხურ ფსალმუნებში“ თვალებს ჩუმად ახელენ ელვის ქვაზე ნაღესი მზე, ფარი და მახვილი“ (ისე, ვითა დავითის).

ამ აზრს შთამბეჭდავად გამოხატავს სტრიქონები „ცა, ნაშიერს დედამიწის, ცისარტყელის ხელებს გიწვდის, ძლიერსა და შეიდადლიანს, რადგანაც შენს „ფსალმუნებში“ მირონი და ღვთის მადლია“.

იგივე მოსაზრება სხვაგანაც არის გაუღვრებულ: „ცის ფურცლებზე ნაწერს ოქრს მურიცხებით, ვინდა მოთვლის მის ზეციურ სიდიადეს, უფლის იყო



და მეგრი მით დიდგულობდა. ათასეულ წლებით ადრე, ბიბლიამდე კოლხი ეფუთს კითხულობდა“ (ცის ფურცლებზე).

თითქოს ერთგვარია ამ შორეულზე შორეული თანამეინახეების მუსიკალური საკრავიც, უფლის მადლცხებული:

„აღბათ, უფლის ნება იყო, თუ შენი მზე არ მზეობდა! ჩანგს და ებანს არ მისტირი, რადგან იღებ „მადლს ზემოდან“, დავით ბრძენის ფსალტირივით“ (აღბათ, უფლების ნება იყო).

ქართველი პოეტი ასე აკონკრეტებს თავის სათქმელს:

„ფსალმუნებში“ ლოცვები იშლებიან იებად. ერთმანეთში ირევა ლეგენდები, მითები, ზღვები, მთები, მთიები და აეროლითები“ (აეროლითები).

„ფსალმუნების“ რელიგიურობას ხაზს უსვამს სტრიქონები: „შენ სიყვარულს უფალს ადრი, სურნელი რომ ასდის იის და „კოლხური ფსალმუნები“ ხმაა ცისქვეშ მდგარი საყდრის, გალობაა ეკლესიის“ (კოლხური ფსალმუნები).

უზენაესის ხმებია მოხელთებული ცით ხელდასმული პოეტის შემოქმედებაში: „ხელთ გიპყრია სიცოცხლე ცრემლის ქვაზე ნალესი. სულის ცაში, მიწაში არის ბინა სხეულის. ვითარც რერიხს, მოგესმის ხმები უზენაესის და „კოლხურ ფსალმუნებში“ იწერ მინარხეულით“ (ხელთ გიპყრია სიცოცხლე).



უკიდევანოა ამ ტომეულების პორიზონტები: „გაცდი ცის მერიდიანებს და განსხეულდი იგავთან. „კოლხურ ფსალმუნებს“ განედად მიეც სულითქმა გრიგალთა და ღელვა ოკეანეთა“ (გაცდი ცის მერიდიანებს).

„კოლხური ფსალმუნები“ „ზესთა წიგნებია, ელვის ძაფით ცად აკინძული“ (განთიადამდე), „პოეზიის ოკეანეში მცურავი აისბერგებია“ (პოეზიის აისბერგები).

„ათასწლეულებში“ გამძლეობა დაენათლა ამ წიგნებს:

„ათასწლეულებში გაძლებენ ქართული სიტყვის ასტონიანი ქვებით ნაგები შენი კოლხური ფსალმუნების ტაძრები“ (ტაძრები).

ფსალმუნები „ზღვისკარად მდგარი პირამიდაა“ (ზოგი წყენას არ ფარავს და), „მზის და სიცოცხლის დიდი დღესასწაულია“ (დარდით გადახურული), „კოლხური ფსალმუნები“ „ქართული სულის კოლიზეუმი“ (კოლიზეუმი), ეს წიგნები „პოეზიის იმპერიაა“ (პოეზიის იმპერია), „ქართული პოეზიის იაღბუზი და ეიფელი“ (იაღბუზი და ეიფელი), ისინი თითქოსდა ნაგებია კიკლოპების (ათასწლეულები მიინავლა).

თითქოს ბოლომდე მაინც არ ენდობა პოეტი მკითხველის გემოვნებას და როგორც თვითშეცნობილი პოეტური სიტყვის გოლიათი, კიდევ და ისევ ცდილობს განგვაცდევინოს ამ ტიტანური ტომეულე-



ბის სიდიადე: „ვერაგია და ცბიერი და ჟამი არ დაინ-
დობა შენს „მეს“ და „კოლხური ფსალმუნებს“ აგებ-
დი ისე, ვით მოსე, ტაძარს და სჯულის კიდობანს“
(ვერაგია და ცბიერი).

პროფ. ლუარა სოფია

გაგრძელება შემდეგ ტომში



მახვილი მესიის

მზე "ახალი ათენის"

და "მახვილი მესიის" –

არ ჩანს მეფე დავითი

და ამიტომ ნიადაგ,

უფლის რწმენით მოსილებს:

ეუხმობ გრიგოლ ხანძთელს და

იოანე ზოსიმეს.

1989

უძველესი კოლხეთის
წარსულიდან გასული,
კვლავ წარსულში ბრუნდები,
გაცხელებს და
გაციებს...
დგება უამი უუამო –
რეინკარნაციის.

2010



ბე და შვილი ამონის¹

პოეზიის მაღალ ღმერთს,
უფალმა შენ გამონა...
და გაჰყურებ –
სამყაროს,
ისე, ვით ალექსანდრე² –
ბე,
და შვილი ამონის.

2009

1 – ამონი – ეგვიპტის უზენაესი ღმერთი

2 – ალექსანდრე – იგულისხმება მაკედონელი



დრო ყოფილა,
როდესაც,
მეფეც, იმპერატორიც
და დიდი ბრბო რეგვენთა,
ვითარც ქრისტეს ებრძოდა,
მუჰამედის "ყურანსაც",
"ბიბლიას" და
"რეგვედას".

1973



სერენადა

მოსულს წარსულის ბილიკებით,
უსმენ ძველ კოლხურ
სერენადას

და ას ერგასიც მიილია.

შენი პოეზია –

უხმო სიმღერა და
უცრემლო ტირილია.

1967



წყვლიადთან ომებით დაღლილი,
დღეები ოფლს მზეზე
იშრობენ,

ჩვენც ასე...

ო, არა უშავს რა!

კაცსა და ღმერთ შუა –

სულ იდგა გუშაგად:

ყოფნა და არყოფნა,

ღამე და სიშორე.

1979



ალფავიტი

*"...უძველეს ფინიკიურ ალფავიტს,
ასევე პელაზგურს უწოდებენ".*

ა. ნოვოვიცინი

კოლხეთია სიცოცხლის

აკვანიც და

საფლავიც.

და თაყვანს სცემს სამყარო,

ფინიკიურს კი არა,

ჩვენს –

პელაზგურ ალფავიტს.

1971



უჩონჩხოს და უგულოს,
არაფერი გაოცებს,
არც ცის აურზაური
და არც მიწის ქაოსი.
გაკრთობს ყვავის სიშავე
და ხმა ძერის ქარდების.
საიდანღაც მოჟონავს –
"მალე შენც განქარდები!"

2010



ნოე

ათასწლეულების მერე,
მიძინებულ მიღეთს უნდა,
დაურღვიო სიმყუდროვე,
რადგან გვერდს ვერ აუვლი,
პელაზგ,
ატლანტიდელ ნოეს*
და "წიგნს დღესასწაულის".

1966

* "ნოე – ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა, ვინც
ატლანტიდან გამოვიდა" (ათი ათასი წლის წინათ ვ. ე.)
"დღესასწაულის წიგნი"



ორფეოს

შენი ხმის გაგონება
მილიონად მიღირდა
(აღბათ ღმერთიც შემარგებს).
ხუთი ათასწლეულის სიშორიდან,
მიღმიდან
გისმობ ღმერთკაც ორფეოსს,
ძეს ეგრის თუ
ეაგრის.

1963



კვდება და ცოცხლდება
ყოველი ნაყოფი,
მიწაში ჩაფლული
და ცამდე ასული.
ამიტომ ამ ქვეყნად –
ყოფნას და არყოფნას –
არა აქვს დასასრული.

2004



მთელი ღამე ვარსკვლავები
დასტირიან –
"მთვარის კუბოს",
ელვაც ბევრჯერ აიბურდა.
და... შენც,
იგავეებით უბნობ,
ვითა ქრისტე და ვით ბუდა.

1971



პირს ვერ ვუხსნი წარსულს დანით,
მთვარეც დუმს,
ვით მედიუმი,
მაინც ციდან ყოველ ღამით
ცრემლნარევი მესმის ჩქამი:
ვილიე დე ლილ-ადამის,
ქაბირ...
ჯალალ ედ-დინ
რუმის.

1973



მზე და მთვარე ფანჯრებია

ასეა,

ამქვეყნად მოსულთათვის,

დღე – ძიბაა და

ღამე – გაღია.

მზე და მთვარე კი ფანჯრებია,

საიდანაც მიცვალებულთა

სულები,

მარადისობაში გადიან.

2001



ფსიქე

შენთან გვსურს,
მაგრამ საწყალ მოკვდავებს
გვინდა,
არ გვინდა,
აქ გვიწევს მოცდა.
თუმც ბევრჯერ შენი საუფლო
გვიქვს.
და კიბეებით აჯის და ლოცვის –
შენთან ამოდის ეს ჩვენი
ფსიქე*.

2014

* ფსიქე (ბერძ.) – სული



მუშაირა

ოქროს ფრთებით პარნასზე
ღვრიტა შენ აიტანე
და შენ გათრობს
სურნელი,
კოკორ ვარდის შირაზის.
აი, ახლა,
გულდაგულ,
მცირეთ არა,
ტიტანებს,
იწვევ მუშაირაზე.

2013



ფსალმუნი და პეონი

პონტოს სანაპიროზე –
კოლხურ ათასწლეულებს
მზის აკვანი ურწიე
და აესულეებს ეომე...
მეცხრე ცამდე უწიე –
ფსალმუნიც¹ და
პეონიც².

1992

1 – ფსალმუნი (ბერძ.) – სახოტბო რელიგიური
საგალობელი

2 – პეონი – დმერთების საგალობელი



ადერკი

*"მირდატ I-მა, იგივე ადერკიმ
ვააერთიანა— "ყოველი ქართლი და ვერისი".
ქართლის ცხოვრება.*

კოლხეთიდან მოსული,
"შენ ხარ ქრისტეს მხედარი",
ვით ცოტნე და გუბაზი,
ფარსმან ქველი,
ადერკი.

მათ ამქარში შედიხარ,
რუსთველივით ამაყად...
და არა...
ქედღადრეკით.

2014



ქარიტუბი

ყოველდღე მოაქვთ მზის გვირგვინი
და დაუნის რტოები...
ჩემი მფარველი ქარიტუბი*,
წამით არ მტოვებენ, –
ხიფათს და აესულებს
მარიდებენ.

2001

* ქარიტუბი (ბერძ.) – მხიარულებისა და სილამაზის
ქალღმერთები



მიღმა სინათლის ათასწლეულთა,
ლოცვა,

ვედრება ისმის წარმართთა.

ალქიმიკოსებს სურთ აქციონ
ოქროდ ქაოსი,

თუმც მათ იციან და არ

აოცებთ:

– სამყაროს ჩვენსას –

ღვთაებრივი გონი

წარმართავს.

1989



მღენარი

წარსულიდან მღენარი* –
 შეიდ ტოტს მოჰგავს
 მდინარის.
ვერცხლითაა ნათალი.
 აღბათ,
 სადღაც შორეთში,
 აქვს ღამაზი სათავე.

1973

* "მღენარი" – ძველ ქართული, შეიდტაეპიანი, თექვსმეტმარცვლოვანი ლექსის სახეობა.



მრისხანე უამი პრეისტორიის,
სანამ ჟანგიან კარებს მოხურავს,
შავი ზღვის ტალღებს
რომ შეეძლოთ,
წინანდებურად,
აღბათ ენასაც ამოიდგამდნენ,
ისაუბრებდნენ, ვით მედეა,
კვლავ ძველ კოლხურად.

1968



ლუკრეცია და ტარკვინიუსი

აჰა,

ხუთასი წელი გავიდა,

რომ არ გასვენებს

მნათთა ციალში,

ადამის ძეთა პლიუს,

მინუსი.

სიპატიოსნე – ლუკრეციასი*

და სიაკაცე –

ტარკვინიუსის.

2012

*ლუკრეცია – შექსპირის პოემა



საღმართო ნათელი

შემოდგომის ქარებს მიაქეთ –
ფოთოლი თუ სული
ტყის და მეტყევის.
ეპარება ჭაღას ბინდი
და ბინდში ჭვრეტ საღმართო
ნათელს,
ისე, როგორც ბასილ დიდი,
სვიმეონ ღვთისმეტყველი.

1991



ბილიკი

"მეცით ნიჰსა გ ზა ფართო"

ვრ. ორბელიანი

პატარა ბილიკს მისდევდი,

რომელიც ათასწლეულის

წინ

გაგინათა ფარტაზმა.

და... ის პატარა ბილიკი

ბოლოს გადიქცა

ფართო გზად.

2001



ბინადრობდა ზეცაში,
ოქროს მნათთა მთესავი,
თან დასდევდა ავსულებს
ელვითა და ქუხილით.
ო, თუმც მას
დანტესავით
ჯოჯოხეთიც უხილავს.

2002



აიეტის კოლხეთი

(ვარიანტი)

მირიადი ღამის იქით,

ჭვრეტ –

ეკქსინის პონტოს ფსკერზე,

ჰელიოსის მზე ირწევა...

აიეტის კოლხეთია

ვაჟა!

შენი ბედისწერა.

2012



მისისიპი – მისურით

რადგან შური და მტრობა –

დაჯეგვე და

დარაგვე,

ცის კიდემდე მისული.

და ახლა კი შენია:

დედა-მტკვარი –

არაგვით,

მისისიპი – მისურით.

2013



სულის ფრთა

ისევ ისე ჰყვავიან

ცაში ოქროს ბაღები...

შენ ლოცვა არ გებზრდება!

(რაც ლოცვაა, სულ ითქვა.)

და ცად ასამაღლებლად,

დღე-ნიადაგ გებზრდება

შიშისა და სულის ფრთა.

2002



1999 წლის 12 აგვისტო

ათასი წლის მერე,
12 აგვისტოს,
დაუძინარმა ფიქრმა პოეტის,
დიდგორზე ასვლა კვლავ დაიქინა.
და როცა გაცდა მთას იაღლუჯის,
წამს,
მეფის სპათა ესმა ყიუინა,
და... მახვილს ხელი მაგრად
ჩაბღუჯა!

1999



ნოუმენს და ფენომენს

ყოფნასა და არყოფნას,
ებრძოლე და
ელავე
და ბრმად აღარ ემონე,
რადგან თასში გრავლის,
ვით ცისკარში, ხედავდი
ნოუმენს¹ და
ფენომენს².

1978

1 – ნოუმენი (ბერძ.) – ჩასაწვდომი, მისახვედრი

2 – ფენომენი (ბერძ.) – იშვიათი, უჩვეულო



ყულევსა და ქარიატას

წარსულიდან მოსული ქარია და,
ხმა თათარ-ოსმალთა
ჩაესმის
ძილში, ყულევსა და ქარიატას.
წყალში თავს იხრჩობს ბორანი,
თავს იკლავს ძაღლების
ღავღავი.
მამლებმა ყივილის ზონარით
ჩანიშნეს შუაღამე.
... საიდანდაც კოლხეთში მოსული,
რადაცნაირი ქარია და
აურუოლებს ყულევს და ქარიატას.

1971



ძველ კოლხეთს არ განებებს
ავსული და
ავხორცი

უამი...

ბებერ ეშვებით,
სურს ყოველი წარხოცოს,
მაგრამ შენ "ფსალმუნებით"
წამით აღარ ეშვები.


1991



ჭანები

იყო დრო, როს ჭანები
ქრისტეს რწმენის შემლახველთ
რომ უტეხდნენ პანიკას.
დღეს "ალაჰი მფარველობთ"
ჭანებს...
ანუ ჭანიკებს.

1992



ღიხს – აქეთ და ღიხს – იქით

წარსულ დღეთა ქარს მოაქვს

სველიანი არია,

მთის წყაროთა ლიკლიკი:

– ორივ ჩემი მხარეა,

ღიხს– აქეთ და

ღიხს – იქით...

1971



ვერლენი და მალარმე

სიმბოლისტებს მზე –
სიმბოლოდ,
და პარნასის დიდი მთები.
მათ ხსოვნა ალალ – მე:
ბოდლერის და არტურ რემბოს,
ვერლენის და
მალარმეს.

1965



ადღომის კუნძული

ცხრა მთის,

ცხრა ზღვის და კიდეც

იქიდან,

კვლავ სიხარულის მოჰქრის არავი.

საუკუნეებს უთრთის ბაგენი:

– მხოლოდ შენ ერთმა,

და სხვამ არავინ,

მძინარე კოლხეთს რომ მიაგენი.

1969



ცისფერყანწილები

პონტოს ზღვაზე აფრებ
გაშლილთ,
ედოთ ხელი პეგასების –
ოქროსფრთიან აღვირზე –
იაშვილს და
გაფრინდაშვილს,
და ორივე ტაბიძეს.

1963



მეძაცა და გალილეაც

თუმცა გწყალობს ქრისტე ღმერთი,
მაინც,
ქვეყნად გასაჭირი,
არ იქნა და არ ილევა...
პოეზია არის შენთვის –
მეძაცა და
გალილეაც!

1969



ტობანიერს,
ხორბას,
ჩარბალს

წარსულიდან მომავალი,
ვინც ჩაივლის ფხოვს
და ხეთას.

და წიგნებში თავს თუ ჩარგავს,
მაშინ უცხო მზე დახედავს:
ტობანიერს,
ხორბას,
ჩარგალს.

1966



გალაკტიონი

ამბობენ პეგასს მიაჭენებდა...

არ უყვარდაო გზები იოლი!

არ უსმენდაო მიეთ-მოეთებს

და აღარც ვაჟა,

და არც გოეთე,

სულ სხვა იყოლ გალაკტიონი.

1959



მამის წაბლის ოდა სახლს,
ოქროს წინა კბილივით,
აკლდა ერთი კრამიტი.
და ეძებდა მას წვიმა,
ნორჩი და
მიამიტი.

1957



პომეროსის ხმა ისმის, –
დანტეს "ჯოჯოხეთიდან" ...
შოთას "ვეფხისტყავეიდან" –
ტატოსი და ვაჟასი.
(სხვათა უამმა დანაყა!)
შენი –
ტაშით,
ვაშათი,
მათ ხმას ერთვის ამაყად.

1993



ფაზისთან და ენგურთან,
ტიგროსთან და
ევფრატთან –
კლავდნენ...
წვავდნენ...
გესლავდნენ...
(თუმც არ იყო უძღური).
კოლხი მაინც ხარობდა,
შორს აღდგომის კუნძულის
იქით...
"თესლით თესლამდე!" (დაბად.)

1972



დაუშრია გველეშაპს
არაგვიც და
ენგურიც
და წუხს მიწა ქართული,
მტრისგან გადაქელილი...
გადაჰყურებ ბრძოლის ველს,
ცხენზე ამხედრებული
მეფე –
ფარსმან ქველივით.

1992



ცხოვრება თურმე თამაშია,
ზოგჯერ ნიღბით და
ზოგჯერ უნიღბოდ.
შენ ვერ გუობდი ვერასდროს ნიდაბს.
აი,
ამიტომ გახდი უიღბლო,
და მიტომ დარჩი
ცხოვრების მიღმა.

1998



სანამ დაფნის შეკრავ ულოს,
და მანამ დიდ სამსჯავროზე
შენს პერსონას წარუდგენენ –
სასრულში ჭვრეტ უსასრულოს,
წამიერში –
მარადიულს,
და მედინში –
წარუდგენელს.

1978



უცნობი

არვინ უწყის ამქვეყნად,
საიდან ხარ მოსული,
შენ,
პატრონი "კოლხური
ფსალმუნის" და "ეფუთის".
და ქვეყნად შენ გეკუთვნის –
ჯერ სხვათაგან "უცნობი" –
სამყარო –
ჯადოსნური.

1997



**ვარსკვლავთა ფესვებშია
მიმაღლული**

ცა არის ჩემი სამოსახლო,
ჩემი დედული და
მამული.
და ვინმემ ხელი რომ არ ახლოს,
ქართული სული –
გრაალივით,
ვარსკვლავთა ფესვებშია მიმაღლული.

1979



ელია და ელისე

ბრუნავს ჟამთა მორევი,
მწუხრი ისევ ელის მზეს.
შენ თაყვანს სცემ
ორივეს –
უფლისაგან ხელდებულს –
ელიას და
ელისეს.

1980



იშჩელმა და იცამნა

მიღმა ათასწლეულთა,
შენს ცას ლოცვით
მოსავდნენ
ღმერთები და...
ამიტომ,
შენც კოლხ ღმერთად გიწამა,
ამაქვეყნად მოსულამდე
იშჩელმამ¹ და
იცამნამ².

1973

^{1,2} – მაიას ხალხის პანთეონის – დამწერლობის, მეცნიერების, მედიცინის მთავარი ღმერთები.



**თბილისი, 1991 წლის
ნოემბერ-დეკემბერი**

აირია მონასტერი,

ვერ არჩევენ ფქვილს და
ქატოს.

მარტია თუ ნოემბერი!

ადარა ცნობს ძაღლი

პატრონს,

დგას ქაოსი ნოემდელი!!!

1991



გეიმედება ქრისტე,
თუმც ათასი წელია
გტანჯავს მისი ღუმილი.
სპირიტუით სულს მისდევ
და მიწაზე ჩამოგყავს
იგი –
მედიუმით.

2010



ისევ მაღლდები დილის მზესავით,
ამაქვენიურ სიავკარგის
პატივისმცემელი.
ინიციაცია ქმნილი,
ვითა
იოანე ნათლისმცემელი.

1964



ფისტიაური

"ასი ათასი",

"გარეთ ატლასი"

და სტრიქონები სხვა უცნაური,
რომელთა ფერი ადევს ურთხმელის.

სახელს ატარებს "ფისტიაურის*"
და ნაკალმარს კი მოჰგავს
რუსთველის.

1961

* ფისტიაური – ლექსის სახეობა, რომელიც ვიღაც
"ფისტიას" სახელთანაა დაკავშირებული



პონტოს ზვირთების ქუხილი –
ესმოდა კოლხთა დაღადად...
თუმც უამმა თვალი არიდა.
იგი მოვიდა ბარიდან
და მთად,
ვით ვაჟა, ამაღლდა.

1999



კორიბანტებს,
ხურიტებს და ტელხინებს

კრეტაზე და კადიას,
ფოლადი და ჭედეს რკინა.
და ებროდნენ ქარტეხილებს...

აი, ახლა,

დავიწყების აწვიმთ წვიმა:

კორიბანტებს¹,

ქურიტებს² და

ტელხინებს³.

1969

1,2,3 – ხალიბთა (ქართველთა) კრეტული შტო (III ათასწლეული)



ღამის ფსკერზე დარჩენილ
ხსოვნის მცირე დიუნებს,
ერთად გადაუვლიდა

სამუმიც და ბორიაც...

მღვრიე ასწლეულები ჩაივლიდნენ
თარეშით...

ნეტავ,

თუ იქნებოდა კოლხთა
პრეისტორია,

ასე საინტერესო –

ეგრისელის "კოლხური ფსალმუნების"
გარეშე?!

1998



ტატო და ეღბარი

დანხოლა თავს ყორანი,

აქ – ტატოს და

იქ – ეღბარს.

ჰელიკონის მთას ტორს სცემდა

მერანი.

შენ კი, ჩემო,

გიგანტების მხრებზე შემღვარს,

ვერ წაგაქცევს ვერავინ!

2013



“ოქროს საწმისი” და “ეფუთი”

(ვარიანტი)

ლეგენდების და მითების

ოქრო და ვერცხლში

შეფუთენილს –

მწამს, კოლხეთი ძეგლს დაუდგამს:

"ოქროს საწმისს" და

"გრაალის",

"კოლხურ ფსალმუნებს" და

"ეფუთის".

2014



მსურს,
რომ პოეზიაში,
ქართულ სიტყვის ხოდაბუნს,
მე ვთესდე და
მე ვმკვიდე! –

(რადგან ისევ ბევრია სათქმელიც და
უთქმელიც).

მე, ვით მცოდნე სამართლის,
ვით სამართალ მემკვიდრე
დიდი შოთა რუსთველის.

1967



ებროსის საფლავი

დღეები გარბიან კისრისტეხით,
აღარ იციან მოცდა.
და მე,
მივიწყებულ წინაპრებს,
უნდა აღუვლინო ლოცვა.
ებროსის საფლავი –
ეგროსშია,
ჩე გოლას დათოვლილ ბორცვთან.

1963



კულტურა ელ. ობეიდის

სიმართლის და სამართლის,
აღარა სურს ზოგს გამხელა;
რადგან გზები შორეთს მიდის...
ქაღდვევლთა ჰგავს ნახელავს
კულტურა –
ელ. ობეიდის*.

1981

* ელ. ობეიდის კულტურა (მესოპოტამია) IV ათასწლეული



ტროული და პელაზგური

ათასწლეულების მერეც,

ყველაფერი ჩანს

ვით სარკე:

– ვინ დამხვდური,

– ვინ მოსული –

მას "წარწერა" ჩუმად არკვევს,

ტროული და პელაზგური,

კოლხური და მინოსური.

1966



ვარსკვლავების ჩაქრა კვარი,
მთებს დაედოთ ფერი ნაცრის;
შორით ისე მოჩანს მთვარე,
თითქოს-და ცის –
შავ კედელზე,
წარმართს მიუხატავს ცარციოთ.

1960



ვითა სუფრა გაწყობილი,
მოლივლივე ზღვა
წინ მიდგას
და ნიავი უნანავეს,
ნაპირებთან მშვიდად
მიმდგარ,
სპეტაკ ბაბთებიან ნავეს.

1956



კოპალა

დევებს ქალი რომ მოპარა,
სახელი მით მოიხვეჭა...
და მეც მივაღ,
ვით კოპალა,
დევების ამოსაწვევად –
ახალგორსა და
იხინჭას.

1966



(ვარიანტი)

შენც ისე, ვითა ხვთისშვილმა,

ქაჯავეთს გამოადვიდე

ქართულ მითებში მძინარი,

სამი ტყვედქმნილი ქალწული:

აშექალი და

მზექალი,

ასევე – მზე – სამძიმარი.

1966



რბიან ათასწლეულები...

გუშინ იყო,

ახლა,

აგერ...

რას იქმნ... ვიღაც პირს არიდებს,

ქართულ სიტყვის –

ქვებით ნაგებ,

შენს "ფსალმუნთა" პირამიდებს.

1994



მეღვა და ქალკიოპე

აიეტის ასულებმა

ვნება ვეღარ დაიოკეს:

ხსოვნა ათასწლეულების

თითებივით გაილოკეს...

და მითიდან ხელს გვიქნევენ –

მეღვა და

ქალკიოპე.

1962



ხახმატისა და გუდანის

ცა არის უფლის ნახატი
და როცა არაგვს აუვლი,
ხმა ჩაგესმება ხახმატის¹,
უკანა ფშავთან გუდანის²,
პირქუმის³,
წყაროსთაულის⁴.

1963

1,2,3,4 – ხვთისშვილები



ძველი ქართული ენა

"აქადის ძეგლწერაში" ეძებენ,
ვითომც შორს სადღაც
ეგულვით.

"მოყვრებმა" იციან და...
მაღავენ,
რომ "ძველი ქართული ენაა" –
მეგრული.

1969



პოეზიის ციხე-ქალაქები

მთის ბილიკზე –

ღრუბლის ღურჯი ფთილები,

გაუშლია მოყვავილე იებად –

"მთვარეს ჯიხვის რქებიანს".

ღამის ცაზე –

რომ ბრწყინავენ მთიები,

პოეზიის ციხე-ქალაქებია.

1964



ჩარბალში

ფესშიშველა ბილიკები,
ბალღებივით ერთურთს
მისდევს...
ლოცვა ისმის მთიდან უფლის
მონათა.
და... ვით იოანემ ქრისტე,
დიდმა ვაჟამ შენ
არაგვში მოგნათლა.

1962



კიპარისები

ათიათასი იღუმალებით

და შიშით სული

ისევ ივსება.

სავსეა კითხვით მოკედავთ თვალები:

– იქ,

მშვიდი ძილი ვის ეღირსება?!

– აქ კი,

ჩვენს ძვირფას მიცვალებულთა

ხსოვნად ანთია –

კიპაროსები.

1963



*მინაწერი პროფ. მერი ბადრიაშვილის
წიგნზე – "პოეტის კვართით დაბადებული"*

...მერე ავაზაკები წილს

შენს "კვართზე" იყრიან.

მათ დარჩებათ ცოდვები,

რაც რომ შენ დაიკელი.

რადგანაც შენ გიპყრია

ხელთ "სიკვდილის კლიტენი".

1999



ანტოლიას და ფრიგიას

იყო დრო,

როცა დარი დარობდა,

და დარი ედგათ ყველგან

მზის შვილებს*.

ოქროს ვერძი კი ოქროს ბლადა,

კოლხური ვარდი მზისებრ

ჰყვოდა –

ანატოლიას და ფრიგიას.

მას შემდეგ ჩავლილ საუკუნეთა

მოკლე კი არა,

გრძელი რიგია...

1973

* მზის შვილები – იგულისხმება მზის ღმერთის, ჰელიოსის ნაშვიერები

მთვარე – ქარონი

აქვეა პონტოც და
ფაზისიც,
პალიასტომი და მალთაყვა...
მითიც და ლეგენდაც
ულევი...
მთვარე – ქარონია,
რომელსაც
მიცვალებულთა სულები
ცის იქით გადაჰყავს.

1960



**წიგნის – “ოქროს საწმისის”
პითხვისას**

ღამე წყვილადს მოუცავს,

ემატება ზღვებს –

ზღვები.

აღარ წყდება კოლხეთით –

არგოს ქროლა ქარული.

საიდანღაც ხმა ისმის –

ავი კინოკეფლების*,

მძვინვარ ამორძალების,

კაცისმჭამელ ცხენების –

შიშისმგვრელი თქარუნი.

1966

* კინოკეფალი – ძაღლისთავიანი კაცი

აღმოსავლეთ –
დასავლეთით,
მსურს, რომ მარად მზე დიოდეს...
ელვარებდეს ქვეყნის არე
და უნთებდე სანთლად დღეებს –
ჰომეროსს
და
ჰესიოდეს,
რუსთველს,
დანტეს
და პინდარეს.

1960



ღიმილი ეღვა ცას ჰელიოსის
და აღარ ჩანდა ღრუბლის
ნასახი.

შორით მოჩანდა აიეტის ოქროს
სასახლე –
ოქროს ბუმბერაზ კლდეში ნაკვეთი;
მივედ და ფიქრით,
ოქროს კარებს დაუუკაკუნე,
მაგრამ არავინ გამოძხვდა
სასოწარკვეთილს.

1968



სამოთხეა სოფელი

პირველს არა,

გზას დაეებ მესამეს,

ამქვეყნიურ ტანჯვის

უარმყოფელი.

არვინ გიშლის ბნელ ქუჩებში

ხეტიანს...

ხმა მოგძახის: სამოთხეა

სოფელი,

ქალაქი კი – წმინდა ჯოჯოხეთია.

1964



ატლანტის ოკეანე

ეს იყო ჩვენთვის ომეგაც,
აღფაც,
ათასწლეულთა ფიქრს რომ ვატანდით:
არც ჰელესპონტი,
არც ეგქსინი
და აღარც ცალფა¹,
შავი ზღვა ყოფილა ადრე –
ოკეანე ატლანტის.

1960

¹ – ცალფა, ჰელესპონტი, ეგქსინის პონტო, შავი ზღვის ძველი სახელწოდება



პეტრარკა და ბოკაჩო

უამთა ნაცარწაყრილი –
ძველ კოლხური დიდება,
გსურს, რომ აქეთ მოქაჩო,
ისე, ვითა პეტრარკამ
და ჯოვანი ბოკაჩომ.

2011



ეკლესიები

აღარ გეკარება ტყვია,
თუმც სიმძიმე გაწევს ტყვიის.
ვარდს თესავ და
ეკლეს იმკი.

და...

ქართული პოეზიის,
შენა ხარ წრე-ეკლესტიკის.

2012



V, IV ათასწლეული

მითებს და ლეგენდებს ვერიდუ,
მაგრამ ქალდეველთა
ჰყვარდა ქალაქი:
ური და ურუქი,
კიტი და ერიდუ,
ნიპური,
ლარსა და
ლარაქი.

1972



დიდი პოეტი

დედამიწაზე ვეღარ ეტევა,
ეძახის სივრცე და
ხეტიალი –
ფრთებს გასაფრენად გაშლის...
დიდი პოეტი –
როდესაც კვდება,
ის იბადება მაშინ!

2010



ენკენის თვე

ახლა ზაფხულის არის დამლევით
და ჭრიჭინები –
მინდვრებს ართობენ...
სიფხიზლის ტოტზე შემომსხდარი
გუნდი მამლების –
ისევ ყივილის ცეცხლზე
ათობენ
დამის შავ-ქვამში შედედებულ
ცას და მნათობებს.

1972



გუდანს,
ხახმატს,
ბაცალიგოს

"უუამო უამმა" ფხოველებს,
ის უბოძა, რაც არ იყო!
და უბრძანა სოფლად მოცდა.
და... ისმოდა წარმართთ ლოცვა –
გუდანს,
ხახმატს,
ბაცალიგოს.

1966



აქაველთ და აქადებს

რადგან უამი უუამო,
ჭერეტს პროფილით,
ანფასით,
აქაველთ თუ აქადებს.
და მან იცის რამდენი –
მკვდარი ათასწლეული
წევს იქიდან –
აქამდე!

1974



მარებს და მაკრონებს

ათასწლეულთა –
ბინდ-ბუნდში,
ფაზისთან,
ვუხმობ და ვეძახი მარებს¹
და მაკრონებს² –
მძლეველებს უთვალავ ავთვალთა,
ავსულთა.
გმირ წინაპართა სულებმა დაგვეტოვეს?!
არა, აქ არიან,
არსად არ წასულან!

1966

^{1,2} – კოლხური (ქართველური) ტომები



ზესკნელში და ქვესკნელში
დაფრენ დაუბრკოლებრივ,
რადგან ღმერთმა გიბოძა,
ჭიანჭველას ღონე და
დიდი გული კოლიბრის.

1962



ეპილო

მსურდა და ვეღარ მივუსწარ!

აწი კი რაღას ველი!


"ძეგლი ავიგეო" – თქვა

ჰორაციუსმა... და,

პუშკინმა მოაწერა ხელი!!!

1964

*ჰორაციუსი – რომაელი პოეტი (ძვ. წ. 65-8 წწ.)



**ხილვა: ქრისტე
ზეთისხილის მთაზე**

ანთებული სანთლით ხელში,
დღეები კვლავ ერთურთს მისდევს
და ნურავინ გაიოცებს,
რომ მუხლმოყრით ვხედავ ქრისტეს
ზეთისხილის მთაზე –
მლოცველს.

1976



შენ ხარ ვენახი

ქართულ ცას მოოქროვილი
შენის ვარსკვლავთა რიკული,
ავთვალს

რომ აღარ ენახვის.

ლოცვის ჭიგოზე მიკრული –
შენა ხარ

"მორჩი ვენახი".

1962



შ ა ტ ი ლ ი

დავიწყებაში

რომ ყრია,

ნაშალი მაღალ ციხეთა,

შევდგები იქ შავ ლოდებზე

და საქართველოს წარსულში –

ამაყად გადავიხედავ!

1964



ზევსო, პელაზგთა უფალო

არ წყდება სიკვდილის თარეში,
სიცოცხლეს,
სიკვდილი თან ახლავს,
ან ცეცხლი ვინ სთქვა უკვამლოდ,
წარსული,
მომავლის გარეშე –
"ზევსო,
პელაზგთა მკვიდრო და
უფალო*!"

1976

* ჰომეროსი – "ილიადა"



სიყვარული ცეცხლი და ღაღარია...

ცხოვრება მაინც იმედია,

რომელიც სიყვარულმა გადარია

(სამი ათას ხუთასი წლის მერე)

კოლხეთი ელოდება

იმ მედეას!!!

1961



ქართული ალფაბიტი

(ვარიანტი)

ვითაც თაფლი იელის,

უცებ დამათრობელი,

წარღვნამდელი სურნელი

უდის არა "ფინიკურ",

ამ ჩემს ქართულ

აღფავიტს.

კოლხეთია, რომლისთვის მშობელიც და...

საფლავიც!

1974



ისრაელში

მირონად სდის იორდანე
და ღრუბელი,
ვით ღემონი,
თავზე ისევ დასტრიალებს
მთებს –
სინას და ხერგონის
ზეთისხილს და თაბორის
(თავიანთი გორებით)
და ცაში კი მოჩანს მთვარე,
ვით იუდას ამბორი
და ან ნაამბორები.

1962



მივალ ბარისახოში
და ვით ბრძენი ხევსური,
ბილიკს მივსდევ ლეგენდის.
და საშველად მოვუხმობ –
კოპალას და იახსარს,
რომ ცხრათავა დეეების
სისხლი
კლდეებს მივასხა.

1966



ხილვა: ენქი და ზისუდრა

კაცთა მოღვმას გადარჩენის
არ უტოვებს ღმერთი იმედს,
და ცა შავად შეისუდრა.

ვხედავ: წარღვნის მომლოდინე
იქ – ენქის¹ და
აქ – ზისუდრას².

1967

1 – ენქი – ღვთაება შუმერულ პანთეონში

2 – ზისუდრა – ბიბლიური ნოე



ათასწლეულების გრგვინვით,
თუმცა გასულა დრო მრავალი,
მაინც,
როგორც მზე ღამეში,
კოლხეთის დიდ წარსულში თვლემს
საქართველოს –
მომავალი!

1989



ეფუთი და თალმუდი

კეთილს სძლია ბოროტმა
და სამყარო სნეული
გადაიქცა ეწერად –
"თალმუდში"¹ ის სწერია,
რაც რომ ათასწლეულის
წინ,
"ეფუთში"² ეწერა!

1966

1 – "თალმუდი" (ბერძ.) – სწავლა, მოძღვრება (ძვ. წ. IV ს.)

2 – "ეფუთი" – უძველესი კოლხთა ბიბლიამდელი
ყოველსმომცველი წიგნი, სადაც ნაწინასწარმეტყველები იყო
სამყაროს დასასრული (IV ათასწლეული)



სხვა არაფერი,
ისტორიის მახსოვრობა –
ვარსკვლავებია!

1961



ქასქები და მუსკები

კუმმუხებს¹ და ალაძებს²,
შიშით გული უსკდებათ,
როცა ხმები მოესმით:
თუბალ³ – ტაბალების⁴ და
ქასქების⁵ და
მუსკების⁶.

1966

^{1,2} – ასურეთის მონარქე ტომები
^{3,4,5,6} – ქართველური ტომები



სამშობლო არის ოქრო და ვერცხლი,
მის გარეთ ვერვინ
ვერაფერს ჰპოვებს,
ვერც უკანონოდ და ვერც
კანონით!
ხელმწიფის ნავში რა უნდა პოეტს,
თუკი იქვეა ნავი
ქარონის.

1960



ვარსკვლავებით მოდარაჯე –
არ ჭრიალებს
ღამის კარი,
მოთმინება ჩანს იობის.
მზეს ელის და
ფხიზლობს მთვარე
და ცა მოჰგავს სანთიბოს*.

1962

* სანთიბო – ახალდაქორწინებულთა სრა-პალატი.



გააცოცხლე და...

ვით მაგალითი,

ეგროსის ეგრისს ძეგლი აუგე –

ოქროს ზოდებით,

განა ფიცრებით.

და "ფსალმუნებით" თავზე ევლები...

ერთ მშვენიერ დღეს,

როცა უცებ გარდაიცვლები,

მითხარი, ჩემო!

ქუჯის ეგრისს

რა ეშველება?!

1974



300 ან მარე

კოლხეთის შორ წარსულიდან

მოვედი და...

ვით ან მარე,

აემადღები და მიწაზე

არ დავრჩები.

და დავტოვებ ჩემს სამარეს,

შემცბარსა და

პირდაბჩენილს!

1963



ის კი იცოცხლებს
ათასწლეულებს,
მაგრამ მგოსნისთვის
შენ,
სამოცი –
აღარ გებევროს!
ღმერთთა საუფლოვ –
ცაო ბებერო!

2001



ხმა

საიდანღაც ხმა ისმის

ღმერთკაც პეტრე იბერის:

– ნუ აშინებთ მოკვდავებს

სიკვდილი და

სიბერე.

ანდა აპოფატიკური –

უფლის შიში,

ან პირიქით,

სილამაზე ანტიკური.

1964



ვით დაამშვენებს მშობლიურ –
ფართე ქუჩებს და
მოედნებს,
უფლის ნაძერწი სხვა სახე.
და უმასპინძლებს პოეტებს:
ასი წლის შემდეგ კოლხეთში,
"კოლხურ ფსალმუნთა" – მაღალი
ვით აიეტის სასახლე.

1992



აშურ-ნასირ-აბალი

ასურეთის მიუვალ

სალ-კლდეებზე ლურსმულით

სწერია,

ვით ამბავი:

მუსრი როგორ გაავლო –

კოლხ ოცდაათხ ხელმწიფეს!!!

აშურ-ნასირ-

აბალიმ*.

1966

* აბალი – ასურეთის მეფე (885-860 წწ.)



ჩემს ყოფნის ცაზე
როს ცისარტყელა
დაეკიდება დაჭრილ ვენებით.
როცა არყოფნის წაში იელვებს
და მოვა იგი –
რაშის ჭენებით,
მაშინ რაღა ვქნა!
ხელცარიელი,
ჩემს დიდ წინაპრებს –
ვით ვეზენები?!

2014



ზღვას გაჰყურებს...
და კოლხეთი,
შორეთიდან ისევ უხმობს –
მარებსა და მოსინიკებს.
მათთან ერთად,
ფრანგს კი არა,
კოლხ-ბასკ ღმერთკაცს,
ნაპოლეონ ბონაპარტეს –
დიდ კორსიკელს.

1967



“გეგბი” და “ჰომოსეპი”

არ აწუხებთ ქართული
სინდისი და ნამუსი,
მოგანატრებთ სიკვდილსაც,
მათი თვალის შეველება!!!
"ინგლისურად" სულწამხდარ –
"გეგბსა" და "ჰომოსებს"
ნეტავ, რა ეშველებათ!

2012



ამ ცისქვეშეთში მღვარმა დარაჯად,
მოულოდნელად უამი იხელთა,
და იქ ზღვისკარად,
სადაც იდგა ჩემი ჯიხური,
მარადისობამ ერთი წამით
შემოიხედა,
მნახა და...
უცებ კარი მიიხურა!

2014



ვითარცა ქართველის წარსული,
მღვრიე ზვირთები მიგორავს
და კვლავ მეტეხის ციხესთან –
მტკვრის ხმა და ოხვრა გაისმის:
– ო, რა ტკბილია –
დიდგორი,
და რა მწარეა –
კრწანისი.

2013



მოულოდნელად დატოვებს
სულს,
როცა ხორცის სიმძიმე,
ველარ გიშველის "ოთხთავი*",
მოფრინდებიან ღვთისშვილნი
და ყვავილებით მოგრთავენ,
ღურჯ ფრთებზე დაგასვენებენ
და... ატირდება,
ვით მისხი,
ცაში ვარსკვლავთა ციმციმი.

1979

* "ოთხთავი" – სახარება (იოანე, ლუკა, მათე, მარკოზი)



ფაზისს,

იყალთოს და

გელათს

ჰკითხეთ პროკლე დიადოხოსს:

– კარდუს პეტრე არეოპაგელს,
ფერი რატომ ადევს მგლური,

ან წარსული რატომ ღელავს:

ფაზისს,

იყალთოს და

გელათს –

ხმა ძლივს ესმით ქალღეური.

2014



თარხია

მწუხარ დღევანდელობას,
მიღმა ათასწლეულთა,
ყოფნა ისევ არჩიე,
რადგან ძველი კოლხეთის
შენ ხარ დიდი მედროშე,
მეაღმე –
მეთარჩიე*.

1964

* თარხია – ერქვა ოდიშში (სამეგრელოში) ცხენოსნობის
ერთ-ერთ უძველეს სახეობას.



ვითარც მეფე მიღასი

მივიწყებულ კოლხეთის
წარსულიდან მოგესმის,
კოლხთა ოხვრა,
გოდება...

და დრო მაღავეს თარიღებს.

შენ,

ვით მეფე მიღასი,
რასაც ხელში აიღებ,
აქცევ ოქროს ზოდებად.

2012



სანამ ათასწლეულები
რაინდ შუმერ კორიბანტებს*,
მფლობელთ ქვეყნის
მთა და კელთა,
ომით დაამუნათებდა,
მანამ წყვილიდს უნათებდათ
მზე –
წინაპარ ქალდეველთა.

1979

* კორიბანტები (ბერძ.) – ფრიგიელი ქურუმები, ქალღმერთ კიბელას მსახურნი



კვლავ ბარბაცებს სამყარო,
თითქოს მზე დაელიოს!
ოცი საუკუნეა,
ქაღდეველი ქრისტე რომ
უხმობს მამა –
ჰელიოსს.

1966



ქრისტეს მოსვლამდე

საქართველოს ხვთისშვილნი,
სიყვარულით მოსავდნენ,
რადგან ქვეყნად ქართველი
იყო სულ ქრისტიანი,
ბევრი ათასწლეულის
წინ,
თვით ქრისტეს მოსვლამდე!

1969



ბრიბალი ზღვაზე

ვითარცა მაშინ,
დიდი ხნის წინათ,
ზღვა ისევ ღელავს...
ისევ წვიმაა...
ქარია და...
ზვირთები თითქოს რომაელთა
ლაშქარია და...
ტანში აურუოლებს ფაზისს,
ეულევს და
ქარიატას!

1960



ქართველთა სიბრძნის წყარო

პირველყოფილ ქვეყნად როცა
ყოფნა ჭირდა,
იყო მაშინ მოწინავე...
და ახლა კოლხს,
ქალდეველთა სიბრძნის
ჭიდან,
კვლავ ამოაქვს სიბრძნის წყარო,
ლაზ-მეგრული გონის
ძველი ოწინარით.

1978



**“გრაალის მცველ
რაინდთა ორდენი”**

(ვარიანტი)

ჟამი კი ათასწლეულებს –
ცხვრის ფარასავით მოდენის...
და ვით "გრაალის რაინდთა",
ასევე "კოლხურ ფსალმუნთა",
თავს მოიწონებს "ორდენი".

1999



“ხელის მტევნის” წარწერა

წარღვნას გადარჩენილმა,
ათას ქარში ნარწევმა,
შენ,
კოლხმა წაიკითხე –
ნაბუქოდონოსორის –
დარბაზის ლურჯ კედელზე,
"ხელის მტევნის" წარწერა*.

1969

* "შენი მეფობა მალე დამთავრდება" და... იმავე დამეს
ქალღევნების მიერ მოკლული იქნა მეფე!!!



ხილვა: ნოეს კიდობანი

ცა მრისხანებს...

ბაბილონი,

ნაფოტივით სადღაც მიაქვს

პელაგონს –

წყალდიდობას.

და კოლხეთში – ჩე გოლასთან

შემდგარს –

მტრედის მომლოდინეს,

ვხედავ ნოეს კიდობანს.

1991



ანანურის ციხესთან

ეხვეოდა მუშლი მუხას,
ხევსური კი, ვით სალი კლდე,
იდგა მაღალ მთათა ფარად
და უკან არ იხვედა.
მიტომ ახლაც ესმის არაგვს –
ხმლის უღარუნი
ანანურის ციხესთან.

1963



ხილვა: კოლხები და ქალღველები

ვინც ორ წარღვნას გადაურჩა
(აქეთ-იქით, ელე-მელე)
და ცოცხალი ვინც გადარჩა.
ვხედავ: კოლხებს,
ქალღვევლებს,
სხვა ხალხი კი,
იმ დროს არ ჩანს!

1971



ფშავი ქალები

ნურვინ იფიქრებს წასწრებას
 (აქ უნდა ითქვას მართალი) –
 ღამე წვებიან წაწლებთან,
დღისით ფარტენას მართავენ,
და მერე ფშავლის ქალები
 მატყლს მთვარის გვერგვზე
 ართავენ...

1961



პოეზია საზეპურო

მაღალი და ღვთაებრივი

სიყვარული,

ვისაც შევნის,

ვისაც სურს, რომ მარადისად

მზეს უყუროს...

უნდა ჰქონდეს საგზლად შენი –

პოეზია საზეპურო.

2009



ქაღდებს და აქადებს

არვინ იცის, რამდენი –
მკედარი ათასწლეული
წევს იქიდან –
აქამდე!
მხოლოდ ისღა იციან,
რომ ერთი ცა ესურათ
ძმებს –
ქაღდებს და აქადებს!

1977



ადამის ძეთა სისხლით გაღეშილს,
არა გაქვს თოფი,
არც იარაღი,
მაგრამ სულ ისმის შენი თარეში...
სიცოცხლე ქვეყნად მართლაც
არ ღირს,
ეჭა,
სიკვდილო,
მწამს, შენს გარეშე!

2013



სადღაც დასალიერში –
 წყვდიადი და ნათელი
 ერთმანეთს კვლავ ერთვიან
და ჭირს ამის ატანა!
თუმც გვერდი-გვერდ სახლობენ –
 სიცოცხლე და სიკვდილი,
 ღმერთიცა და სატანაც.

1989



ორფეოსის ხმა ისმის

შოთრეული მითიდან –
ორფეოსის ხმა ისმის...
შვენის ოქროს პორფირი –
კოლხური მზით შემოსილს,
ეაგრის ძის ნაშიერს,
უფრო სწორად ეგროსის.

1972



ინბური – ინბირი – ენბური

ენქის¹ – ("ეა²"-ს და "აია³"-ს)
სსოვნა ჩემში კვლავ იელეებს,
რადგან მისი ვარ ერთგული!
ფიქრში ვხედავ "აიელებს"⁴ –
ქვეყნით,
ტადრით და
ენგურით⁵.

1979

- 1 – ენქი – "ეა" და "აია" ხალხის დგოება
2,3 – "ეა", "აია" – ქალაქი, სახელმწიფო (ძვ. წ. XXII – XXI სს.)
4 – "აიელები" – აია ხალხის შთამომავალი
5 – ინგური – ინბირი – ენგური პირველი (ისტორიაში)
კოლხური (ქართული) ტაძარი პალესტინაში



არმაზი და კოდმანი

წამს,

მყინვარი გაკრთება,

ვით ნოეს კიდობანი,

კოლხეთისკენ მავალი...

მერე მცხეთის სანახებს

ვითა მტრედი ფრთამალი

მკერდზე დააფრინდება

არმაზი და

კოდმანი.

1966



ქაღდანებს და ქარდავებს

დიან ათასწლეულები

და ავლებენ ჩემს კოლხეთს –
ლეგენდების არშიებს...

დროს მზის თითებზე ართავენ.

ხუთი ათასწლეულის სიშორიდან

"ქაღდეა*",

უხმობს თავის ნაშიერს:

ქაღდანებს და

ქარდავებს.

1989

* ქაღდე – (შუმ.) – მოვარის ღვთაება



სვასტიკა

ომის შემდგომ სვასტიკა,
ისე, ვითა ქოლერა,
ძილს გიფრთხოვდა სასტიკად,
რადგან გულს ვიკორტნიდა –
მისი ყორნის სიშავე!
მაგრამ, თურმე, ყოფილა
ის –
მზის ხატის ნიშანი.

1961



ათანასა,
სოფრო,
ეთმე

ოცი საუკუნის წინათ,
მეინვარივით გაყინული
კოლხთა ძველი ისტორია,
ოცი საუკუნის შემდეგ,
ვინცობაა,

იქნებ შეთბეს:
და თვის კოლხეთს დაუბრუნდეს:
ათანასა¹, სოფრო²,
ეთმე³.

1960

1,2,3 – იერუსალიმში მოღვაწე კოლხი (ქართველი)
სასულიერო მწიგნობარნი

ენგური

ახალშობილ სამყაროს,
უპირველეს მლოცველად
ეფურატისპირ ამაყად
იდგა, როგორც ებგური.
მერე კოლხებს,
კოლხეთში,
ლოცვასავით ჩამოჰყვა –
ენქიცა და
ენგურიც.

1969



ბაბილონი დაეცა და...
ურარტუ მტერს ვერ
აკავებს,
შიშის ზარი იტანს ველებს
და ხეთაში აკანკალებთ:
კოლხებს,
ხეთებს*,
მიტანალებს.

1962

* ხეთა – პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში



თუმცა შუა ზამთარია,
დარი დარობს
დარიალს.

ამოვარდა გრიგალი
და კვლავ არივ-დარია
დღე...

ძაღლს ვერ ცნობს
პატრონი,
რადგან იგი მკვდარია.

1961



ნერეილა, თემილა

ისტორია,
ო, ზოგჯერ,
სინათლეს თვალს არიდებს
და არ ამბობს სიმართლეს:
რომ ძველ კოლხთა თემიდან
არის ვესტაც¹,
ქარიტაც²,
ნერეილაც³,
თემილაც⁴.

1964

^{1,2,3,4} – ბერძენთა და კოლხთა ღვთაებები



კოპალას ქვასთან

ზღაპარში მათ...

ფშაე-ხეგსურთა,

არაგვი სისხლად

შესვეს და...

ძვლებიც ერთიან მოხოცეს.

და ისმის კოპალას ქვასთან

მთვრალი დევების ხორხოცი.

1961



სოლომ-გომორი

დაემტერა დანა-სისხლად,
და უფალმა ადამის ძეს
შეურყია სიმყუდროვე!!!
და ვინაც რომ იგი იხსნა,
ქალდეველი იყო ნოე.

1979



კირკე – ნანა – რეა კიბელა

მითისა და ლეგენდის

აფრიანი ხომალდი

იქ –

თქმულებად დაება,

სად ფაზისის ტალღები –

მპინვარ პონტოს ერთიან.

კირკე – ნანა – კიბელა

ერთია...

და კოლხების

იყო დედა – ღვთაება!

1979



მთიები, ვით ანგელოზნი,
ციდან მოთვალთვალენი,
სიყვარულის მთებს იტყვენ,
ვით ელია თეზბიტელის*
საკვირველი ხალენი.

1993

*ელია თეზბიტელის ხალენი (მოსასხამი)
ქრისტეს კვართთან ერთად ასვენია მცხეთაში



საიდანღაც ხმა ისმის
რაბინდრანათ თაგორის:
– ყველანი იქ მივა,
სად, ზოგს ბრაჰმა მიელის,
ზოგს ვიშნუ
და შივა.

1982



კარიელი, პელაზგი და ლელები

ათასწლეულები იარა და,

მორჩა წუხილის ელეგია.

აწ სულს კოლხურ ცას

მივაბარებ,

რადგანაც ჩემი წინაპარი,

ვიცი,

ეგვიპტელი კი არა და,

კარიელი¹,

პელაზგი² და

ლელები³.

1973

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები



სიშორითა და ღამით დაღლილი,
ცად ვარსკვლავები
თვალებს ახელენ.
ასწლეულები გდევნ ხმაურით...
ხარ ოკეანის გადამლახველი, –
"შვიდი გზის ნაცადი –
მეზღვაური".

2007



ჩემს კოლხეთს წარსული მოპარეს

არ ჩანს ფრინველი მომავლის,

მტრის წისქვილს წყალს ასხამს

"მოყვარეც"!!!

მომაკედავს აწ რაღა ვუსურვო!

ჩემს კოლხეთს –

წარსული მოპარეს,

კოლხეთი დატოვეს უსულოდ!

1971



ბაირონ!

ემერსონ!

შელი!

ჰიმალაის მთებს მიღმა

მზე ჩადის,

განგი კი ზვირთების კამათლებს

ცივ სიმარტოვეში აგორებს

და ღამეს ფიქრებში შევლის.

განგიდან ჭაბუკი თაგორის

ხმა ისმის:

ბაირონ!

ემერსონ!

შელი!

1969



მგლის,

რემისა და რომულის

ახლა მიწა რომ ცახცახებს,

მიწისძვრა ნულარ გგონიათ!

ცოდვია, ზნედ რომ მოუვლით.

ზოგჯერ ელვა რომ გაკრთება,

ის ელვა არა,

ხსოვნაა,

კაცთაგან მივიწყებული მგლის,

რემისა და რომულის.

1963



სიბრძნის წიგნი "ეფუთი"

მოუშვია ბებერ ჟამს
დავიწყების თმა-წვერი,
კისრისტეხით წასულა
საუკუნე რამდენი...
მათ ახსოვთ და იციან,
რომ ქართველებს ეკუთვნით
ოქროდ ნაძერწ-ნაწერი,
ეჭვი!
ბიბლიამდელი –
სიბრძნის წიგნი "ეფუთი".

1961



ღნმ

ნუ იჩემებს მზის შეილობას,
და ზოგ-ზოგი ცისქვეშეთში,
თვალს ცრემლით ნუ იოსებს.
დროა! მოკვდავთ მოტყუება
რომ შეწყვიტონ ენებმა!
მე, კოლხი ვარ,
და შვილი ვარ ჰელიოსის,
ხელთ მაქვს ამის –
"ღ (ე) ნ (ე) მ(ა)*"

1965

"ღნმ" – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (უჯრედის ბირთვში არსებული ნუკლეინმჟავა)



შენი

რწმენის მინდორზე
ხარობს უცხო ყვავილი...

გწამს,

უფალი გიშველის!

და...

ზღვაზე ფეხშიშველი,
ქრისტესავით გაივლი.

1961



ჰენიონი, ტაონი

პონტოს სანაპიროზე –
ბრძოლით გულს იოხებენ:
მესხები¹ და
მოსხები²,
ჰენიონი³, ტაონი⁴,
კოლხებ⁵ – დიაოხები⁶.

1979

^{1,2,3,4,5,6} – პროტობერული ტომები



მოლოდინო

სიხარული აწვიმდეს –
 ლამაზ დღეებს აწინდელს.
 ცა ედგას მზის მთოველი.
ივერიის ღვთისმშობლის
ხატს დღითი-დღე მოველით,
 რომ მისი წილხედომილი
 საქართველო გაბრწყინდეს!

1971



ლოცვის მაღალ ტაძარში,
სადაც დამეს –
დღე ათევეს
და სადაც ცას მთიები
სიყვარულით შეშლიდნენ!
განვლე კიბე მეშვიდე
და ჭერებ ოცდამეათეს*!

1976

* "სულიერი კიბე 30-საფეხურიანია. მე-7 საფეხურს მიღწეულთ წმინდანად მოიხსენიებენ; განდმრთობა კი უმაღლესი საფეხურია". წმინდა იოანე კიბისაღმწერელი



მიუთმავს,

ტოლტეკებს,

აცტეკებს

პროფ. მერი ბადრია შვიდს

იქ,

ამერიკაში კოლხურად,
როდესაც "მაიას" ასხენებ,

საფლავში ნეტავ რა

აქრუოლებთ,

ან ხსოვნა ასე რად აცეტებთ:

ოლიმპებს,

მიშტეკებს,

ტოლტეკებს,

აცტეკებს?!

1999

ვითარც ხალიბურ ოქროს სატევარს,
შენ, ქართულ სიტყვას პირი ულესე,
ახლა დიდებას რომ გპირდებიან
და...
პოეზიის ხარ ჰერკულესი,
შენი ლექსები –
ოქროსფრთიანი
სტიმფალიდებია.

1986



“ადამის ტომთა” შთამომავალი

უშიში იყო, ვითა უხორცო,
არ ეშინოდა მეხის და
ჯვარცმის
და ის ცხოვრობდა, როგორც მრავალი
სხვა...
და ღმერთივით ის იყო კაცი,
"ადამის ტომთა" –
შთამომავალი.

1979



რადგან ქვეყნად მოვედით,
ჩვენ ვართ უფლის იმედად,
თუმც ზნეს გვიცვლის
მარტივით,
რთული სიმარტოვე და,
და სირთულე მარტივი.

1967



მუშაირა

ოქროს ფრთებით პარნასზე
დერიტა შენ აიტანე.
და შენ გათრობს სურნელი
კოკორ-ვარდის შირაზის.

აი,

ახლა გულდაგულ,
მცირეთ არა,
ტიტანებს,
იწვევ მუშაირზე.

2014



ადამის არა,
შენ ხარ მზის შვილი,
გაჩენის დღიდან –
დმერთთან საუბრობ...
კოლხთა სულისდგამე!
არ კელტების.
ცა მრგვალია და უფლის საუფლო,
შენ ცის ჩარჩოში
ვერ ჩაეტევი!

1993



იცოცხლე,
რომ ძვირფასია,
კარგის
კარგი მოგონება,
მაგრამ ზოგ-ზოგ უღიმღამო –
"ჩანაწერებს",
"დღიურებს",
ერთი ლექსი ჯობია,
თუნდაც სულ უღლეური.

1990



კოლხეთია ქვეყნად ყოფნის
საწყისი,
მერე იქით –
მიდია და ხეთია...
კბილი მოგვჭრა ჩვენ წინაპრის
"ნაყოფმა",
არ ვეშვებით მაინც ცაში ხეტიალს.
არვინ უწყის –
გასაგისი არყოფნის,
და...
ყოფნა კი დანტეს
"ჯოჯოხეთია!"

1971



**ზოღიაძოს თორმეტი
თანაგარსკვლაველი**

ვხედავ! –

პოეზიაში,

ღობე-ყორეს ედები

და ქათქათა ქაღალდი –

კალმის წვერით გაწურე...

მაინც აღარ გწყალობენ –

თანაგარსკვლავედები:

მარჩბივი და კირჩხიბი,

ვერძი,

კურო,

მერწყული,

არც ღომი, არც ქალწული.

1991

მეფეები და ბებები

კოლხეთს ჰყოლია მეზობლად,
კარგებიცა და ავებიც,
მეფეები და ბებები.
სხვების რომ იყოს კოლხეთი,
ზედაც არ შემოგვხედავდნენ!!!
და ჩვენ კი, საცოდავები,
ყველას –
ფერხთაქვეშ ვვებებით!

1969



ქრისტე და აბრამი

რადგან იყვნენ ურიდან,
ამიტომ ჰურიათა
ამოა მცდელობა!
ისე, როგორც აბრამის,
წყალი აღარ გაუვა
ქრისტეს ქაღდეველობას.

1971



მთეპი

დუღს კულტურა "მტკვარ-არაქსის",
რამაც ათასწლეულების
ფიქრის ქინკლა დამასია...
დგანან მთები მხედრებივით:
(დრო აცვიათ, ვით ჯავშანი)
ერჯიშიმთა¹,
თეჯერის მთა²,
თამარმე³ და ამასია⁴,
დედამთა⁵ და ჭილობის მთა⁶,
ორთაყვის მთა⁷ და
თავშანი⁸.

1982

1,2,3,4,5,6,7,8 – მათა გეოგრაფიული სახელები მცირე აზიაში

ხეტი, შუმერი, მიდიელი

ნაკვალევს ათასწლეულის,

ფაზისს და ხეთას

მივსდიე...

და შორით ვხედავ ერთს-ასად:

ხეთს,

შუმერსა და მიდიელს!

და... მიტომ ვეძებ

ხეთასთან.

1969



რენესანსი

ზესკნელის და
ქვესკნელის –
მაღამო იარის
და ათასჯერ ასია –
"კოლხური ფსალმუნები",
მეთოთხმეტის კი არა,
საუკუნის მეოცის,
წმინდა რენესანსია*.

1993

*რენესანსი (ფრანგ.) – მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავების ხანა – XIV-XVI სს. (იტალია)



კაცობრიობა

შარშანდელი არ ახსოვს!!!

რაა კაცის ცხოვრება –
ლოცვა,

ყოფნა იობად?!

რადღა მოეთხოვება –

მახსოვრობა დაკარგულ
და ბნელ კაცობრიობას!

1973



მიკვე

აღუვლენდი ლოცვას უფალს
და შორიდან ხელს გიქნევდა
ღმერთი ნიკე.
რადგან პონტო იყო შენთვის
სიყვარულით სავსე –
"მიკვე*".

1993

* მიკვე (ებრ) – განსაწმენდელი აუზი



ყოველთვის,

უამს მიმწუხრისას,

შოორეული კოლხთა მოდგმა,

ვითარც ატლანტის ფსკერიდან,

შავი ზღვიდან,

წინაპართა,

ვისმენ ტირილსა და მოთქმას.

1967



კარღუ¹

ჰელიოსის² ციდან მოხველ,
მღვრიე ათასწლეულებმა
სიყვარულის სხივით გმოსეს.

რადგან შენ ხარ –

კოლხ-იბერთა რჯულმდებელი,
ვითარც ებრაელთა მოსე³.

1969

1 – კარღუ – კოლხთა (ქართველთა) – ეთნონიმი

2 – ჰელიოსი – მზის ღვთაება

3' მოსე – ძველ ებრაელთა ბელადი



უამი ათასწლეულთა
სიცოცხლის ხეს არხევდა
და ცვიოდა დღეები –
უშქარი და ურიცხვი...
ხმა ისმოდა კოლხური,
სანამ ერთი მურიცხი,
ცაში თვალს გაახედდა.

1978



თალმუდი და თორა

როცა უფლის შიში იგრძნეს,
მაშინ რწმენა გაიტაცეს
და ისინი იქცნენ ქორად.
ქაღდეველთა¹ ახლავს სიბრძნე
მოსეს "თალმუდსა" და
"თორას"².

1979

1 – ქაღდეველები – ქართველური ტომები ბაბილონის პროვინციაში (ძვ. წ. აღ. VII ს.)

2 – თორა – იუდაიზმის წმინდა, კანონიკური ტექსტი 5 წიგნად (ძვ. წ. აღ. IV ს.)



როდესაც ხსოვნა წარსულს
შეუვლის,

ნახავს:

სულს დაფავს,

ეჰ, რამდენი ათასწლეული

და ხმა მოისმის მღვრიე მტკვრიდან

და არაგვიდან:

– მხოლოდ სამშობლო! –

სხვა არა გვინდა!

1966



ხილვა: პოსეიდონი და კლიტო

ფაზისის და პონტოს პირას,
საცხოვრისი იყო კოლხთა
და მათი ძის დევ-გმირ ქართუს.
ზღვის ხმაურში ახლა მიტომ
ვჭვრეტ ოჯახურ დავით გართულს –
პოსეიდონსა¹ და
კლიტოს².

1971

1 – პოსეიდონი – ზღვის ღმერთი

2 – კლიტო – პოსეიდონის ცოლი



ფაზისის და პონტოს პირას
თლიდი ღერწმის საღამურებს...
მერე წელი,
ერთი არა,
ათჯერ ათას ორასი,
წერდი "ოქროს ასოებით",
შენ
შენს "კოლხურ
ფსალმუნებს",
ისე, ვითა ხორაქსი.

1996



იბერია – IV ს.

იბერიას ტკივილები –

წამით ველარ მოუშუშა –

საურმაგმა¹,

ვერც არშუშამ²!

სპარსთა მეფე შაბურმა კი

ქვები ქვებზე არ დატოვა,

ბალავარზე არც აგური.

მერე მეფის ტახტზე დასვა –

ბედოვლათი ასპაგური.

1993

1 – საურმაგი – იბერიის მეფე (IV ს.)

2 – არშუშა – ქართლის პიტიახში (IV ს.)



უძილაურთა

არა ჩანს გმირი კოპალა,
ავსულეგმა კი ფშავლები
მოსრეს და სულ ამოხოცეს!
მიტომაც არაგვს ხმა უთრთის.
და ისმის დევთა ხორხოცი
მთის წვერზე –
უძილაურის.

1963



ეფუთი, გრაალი, საწმისი

*" ოდესღაც კოლხებს დამწერლობა
უნდა ჰქონოდა".*

ჰეროდოტე

შუამდინარეთია კოლხეთი

ფაზისითა და ენგურით.

აქაა სამყაროს საწყისი...

შავი ზღვის,

შავ ფსკერზე

მეგუღვის:

გრაალიც¹,

ეფუთიც²,

საწმისიც³.

1971

1,2,3 – ბიბლიამდელი კოლხური (ქართული) მითური
წიგნები

აპოლონმა მოგცა ღირა

მოსულს კოლხურ მითებიდან,
აპოლონმა მოგცა ღირა,
ჰერკულესმა თიკუნები.
ავად ხდები ლექსით ხშირად
და ლექსითვე –
იკურნები.

2013



მაკრალეუს და ჰალიძონეუს

არ იცოდნენ მზის შვილებმა¹,
რომ ცხერის ფარა,
მგლის ხროვასთან
ერთად
არსად არ იძოვებს.
და...ბერძნები მუსრს ავლებდნენ –
ტიგროსი და ევფრატის პირს –
მაკრალეუს²
და ჰალიძონებს³.

1979

¹ – მზის შვილები – იგულისხმება ჰელიოსის ძის –
აიეტის შთამომავალი

^{2,3} – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები



პირქუში

წყაროსთავს,

როდესაც ფშაველნი

ღრეობდნენ...

ქვაბს თავი ახადეს,

წამს იძრა დევების ლაშქარი

და ომი დაუწყეს ახადელთ

(ხევ-ხუვი სისხლით კვლავ

ივსება).

მაგრამ შამალოს გორიდან

ღვენ მოსრეს –

პირქუშის ისრებმა.

1977



რაფაელის მადონებს

ახლაც,

დიდი ხნის მერეც,

ქართველის ღამაზმანები

ისევ ისე მაგონებს:

ვინჩის¹ "მონა ლიზებს" და,

რაფაელის² "მადონებს".

1989

1 – ლეონარდო და ვინჩი: მონა ლიზა, მონა ლიზა
ჯოკონდა.

2 – რაფაელი : მადონა ღრუბლებში, მადონა მწვანეზე,
მადონა ჩიტბატონებით, მადონა თევზით, მადონა
დიორენტიკლი, მადონა საჩრდილობელში, მადონა
კონესტაბილე, სიქსტინის მადონა



ქრისტეს,

შივას და ვიშნუს

ქროდნენ ასწლეულები

ისე, ვითა წამები...

თაყვანს სცემდნენ უფლისგან

ცისქვეშეთში დანიშნულ

სამსახოვან სამებას:

ქრისტეს,

შივას და

ვიშნუს!

1981



15 მაისი

რადგან ყოფნა ყოველთვის,
აქ არყოფნას გიშლიდა,
მაინც ოჩოკონივით
ტყე-ტყე დააბოტებდი...
ვიღაც სულ მოგკიოდა:
თხუთმეტი მაისს იშვი და...
თხუთმეტი მაისს მოკვდები*.

2015

* გენიალური იტალიელი მხატვარი რაფაელი ნ აპრილს
იშვა და ნ აპრილს გარდაიცვალა.



ათონის და სინას მთის

ასწლეულთა იქიდან –

ნათელს რეკენ ზარები –

ათონის და

სინას მთის:

– მოკვდავთ სულ ეშინოდეთ –

ღმერთისა და

სიმაართლის!

1991



აკენინის ნახევარკუნძული

ეჭრურია¹ ბერძნებმა

შებოლეს და

შეტრუსეს,

მერე მუსრი გაავლეს

კელტებსა² და ვენეტებს³

(მათ მეფეებს ვერ ენდეს!)

ახლა მიტომ დავექებ:

კორსიკაში კოლხებს და

სირაჯუზე – ეტრუსკებს.

1981

1 – ეჭრურია (ძვ. წ. VI ს.) – იყო დღევანდელ ტოსკანის ადგილზე

2,3,4 – კელტები, ვენეტები, ეტრუსკები – კოლხთა (ქართველთა) შორეული მონათესავე ხალხი



მეცხრე იყავ და
რჩები მეცხრედვე
და გემონება დრო და მანძილი.
მნათთა სიშორით თვალი
გეკსება!

რას იქმნ...
ბევრს ღამით აღარ აძინებს
და ძილს უფრო ხობენ
შენი ლექსები.

2014



ქო ზეჲსის

კოლხო! –

ყოველგან შენი ხმა მესმის, –

ზევით და ქვევით,

მარცხნივ და მარჯვნივ.

სამყაროს ფარავს შენეული

სიძღერის ვარჯი;

ფიქრმიუწვდომელ –

სიღრმეში გაქვს

გადგმული ფესვი.

2014



ინათა...

აღბათ,

მალე მამლები

ყივილის ორღესულებს აღესავენ.

და ვსეღავ – გომურთან

თეთრი გოგრა,

ჰკიდია ქათქათა მთვარესავით.

1959



აცტეკებს, მაიას და

ინკებს

ათასწლეულთა უდაბურ შარაზე,

სიკვდილი სად დაეწიათ?!

– ყომრალმა ფიქრებმა ამიკლეს:

სად გაქრნენ,

რა ბედი ეწიათ –

აცტეკებს¹,

მაიას²

და ინკებს³?!

1971

1,2,3 – ამერიკის აბორიგენი ტომები, რომლებმაც შექმნეს განვითარებული კულტურა და სახელმწიფოებრიობა



ეექსინის პონტოს,
წყნარს და თვინიერს,
არვის ეგონა, ბაყბაყდევით
ქვეყნად თუ რამე გაახელებდა,
როცა კოლხეთში ნებით
დაება.

და, ჰა, მას შემდეგ დაობს
ხმელეთთან,
მაგრამ ჩემს გარდა არავინ იცის,
რას ედავება!

1966



რუსტინე, ბესა და მარტინე

კეისრის ცბიერმა სარდლებმა,
სპარსებთან –
ბრძოლებსაც მოუკლეს
და კოლხებს გულები ატკინეს.
ბოლოს კი ხელმწიფეც¹
მოუკლეს:
რუსტინემ²,
ბესამ³ და მარტინემ⁴!!!

1962

1 – ხელმწიფე – იგულისხმება გუბაზ მეორე, კოლხების დიდი მეფე (554 წ.)

2,3,4 – ბიზანტიელი სარდლები, რომელიც იმპერატორმა იუსტინიანემ სიკვდილით დასაჯა



ღაროს I,

პიროს II

რათუნდ ჟამმა მეფეთა

საქმე არივ-ღაროს,

მაინც კიროს მეორეს,

ვითა პირველ ღაროსს,

ომი თითქოს მომხდურთან

წაუგია არცერთი,

ის იყო სპარსეთის

ავ-ღარიც... და დარიო.

1999



მემდურის იგი!

რატომ და რისთვის?! –
წარსულის კარებს ვაღებ
და ვკეტავ!

ჰო,

შენს დაქალზე ვუბნობ, ჰეტერა*.
კარგი არასდროს მიქნია მისთვის,

და...

დანასისხლად ასე რატომ
გადამემტერა?!

1967

*ჰეტერა (ბერძ.) – განათლებული გაუთხოვარი ქალი



შენ პოეტი ხარ...

და ცის სარკეში,

ათასწლეულის შემდეგაც ხედავ,

რომ ხსოვნის სკამზე გვერდი-გვერდ

სხედან

და ვერდიქტს ელის:

ღუი პირველი...

და მეორეც...

პიპინ მოკლე და

პიპინ გრძელი.

2010



ისევ ხეთაში

ვითარც მაშინ...

შორეულ,

ცივ წარსულში ელვარე –

უკავია მზეს შუბი.


მე, ხეთაში¹ დავეკებ – არინას² და

თეშუბის.

1963

1 – ხეთა – პრესტორიული სოფელი ხობის რაიონში

2 – არინა – ხეთების მზის მფარველი ქალღმერთი (ძვ. წ. 2300 წ.), თეშუბის მეუღლე.



ბიბლია და რეგვედა

ეფუთში ის სწერია,

რაც უფალი სამყაროს

სიბრძნით რომ არიგებდა.

და... ამიტომ "ეფუთთან"

ბაღდად მოჩანს "ყურანი",

"ბიბლიაც" და

"რეგვედაც".

1969



გაბრიელი და ნიკოლოზი

რწმენის მაღალი ტაძრები,
ურწმუნო,
ულმერთოებმა,
რაც აოხრეს და არბიეს!!!
სწორედ იქ სანთლებს
უნთებენ
მამებს: ვასილს¹ და გიორგის²,
ნიკოლოზსა³ და
გაბრიელს⁴.

2012

1 – ვასილი –

2 – გიორგი

3 – ნიკოლოზი – (მარქარაშვილი)

4 – გაბრიელი – სალოსი (ურგებაშვილი)



“ვანის წარწერები”

ვხედავ –
ათასწლეულები,
კოლხეთის დიდ ისტორიას
პონტოს ზღვაში არწევენ..
და ტალღები კითხულობენ
"ვანის" –
ქართულ წარწერებს.

1969



კრიპტოზოურ ეონის

იყავი თუ არ იყავ,
უამთა ბრუნვას ეომე.
თვალში გედგა ცა და მთელი
პლანეტა,
მესთა-ტეხა, გრგვინვა ოკეანეთა...
და გესმოდა ძახილი –
კრიპტოზოურ ეონის*.

2014

* კრიპტოზოური ეონი – გეოლოგიური დროის პირველი დიდი პერიოდი, რომელიც 4 მილიარდ წელს მოიცავს.



უამთა რისხვამ ძვრა ვერ უყო,
კოლხთა ნაგებ პირამიდებს,
უფალი კი გმირს და
მედგარს,
თვით სიკვდილსაც არ ამონებს.
ჰელიოსის სული ედგათ
დიდ ეპვიპტელ –
ფარაონებს.

1973



ქალღეური სიბრძნის გონი –
მთვარის ქვაზე ალესეს
და სხვის არა,
აზიის მზე –
სწვავდათ უმხურვალესი:
ჰომეროსს¹ და
ჰეროსტატეს²,
პითაგორას³,
თალესის⁴.

1966

P. S. 1,2,3,4 – რ.ნანდერსონის მიხედვით, კოლხები
(ქართველები) იყვნენ



მოწამეთა

აქ მურვან-ყრუს ხმები ისმის...
და წამებულ გმირთა კენესა
ფრესკებიდან ტანჯვად წვეთავს.
და მირონად ესხურება
ჯვარზე გაკრულ
მოწამეთას.

1969



შორით მიმავალ საუკუნეებს,
ისევ გაჰყურებ ხელის
მოწრდილვით,
რადგან რწმენაა შენი ძმობილი.
პოეზიაში ბევრზე-ბევრი,
შენ გყავს მორჩილი,
რადგან მგოსანი ხარ –
განდმრთობილი*.

2012

*განდმრთობილი – მადლით ღმერთქმნილი



ქართლის პიტიასუბი

(არშუშა და ვარსკენი)

ათას ექვსასი წლის მერე

(შენ, ვით სამართლის მცოდნემ)

კვლავ ასე დაასკენი:

დიდხანს ჰყავდათ სპარსელებს

ქართლში პირველ ჯაშუშად –

ჯერაც მამა –

არშუშა,

მერე შვილი – ვარსკენი.

1967



კოლხური ბაღი

ღღეები ათასწლეულთა .

დიდ ოქროს ჭიშკარს
აღებენ,

გზას მიუყვები დიდების...

ირგვლივ კოლხური
ბაღები

ჰყვავის,

ვით ჰესპირიდების*.

2007

* ჰესპირიდების ბაღი (ბერძ.) – სადაც ხეები ოქროს
ვაშლებს იხსამენ



შენი გონი ციური –
საუკუნეებს დანაყავს,
დიდ ხელმწიფე ადერკივით.
დრო გავა და...
პარნასელებს წარუდგები
ამაყად,
ვით ტოლ-ტოლს...
და არა ქედადრეკილი.

2014



შენ არა ხარ ნაშიერი
აპსუსა¹ და თიამათის²,
მიტომ დახვალ კვლავ
მშიერი:
ხეთური და ხურიტელი –
მითების და
ლეგენდების.

1981

^{1,2} – აპსუ – მტკნარი, თიამათი – მლაშე (წყლები),
საიდანაც იშვინენ ღმერთები



ოქროს ჩლიქებიანის
გესმის ხმები ხარების,
დიდ აიებ ხელმწიფის.
მაინც ჩრდილს ეფარები
მთაზე მდგარი
"ხმელ წიფლის".

1963



ბიზას, მემფის, საკარას

შუამდინარეთს,
ეგვიპტეს,
ისმის მითრას¹ ხმაური
და ხახამშრალ ველ-მინდვრებს,
მზე დაჰყურებს თაკარა,
ვით ურუქის² და ურის³,
გიზას⁴,
მემფისს⁵,
საკარას⁶.

1968

¹ – მითრა (სპარს) – მზის და სინათლის ღმერთი

^{2,3} – შუამდინარეთის დიდი ქალაქები (ძვ. წ. 3500 წ.)

^{4,5,6} – ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი ქალაქები (ძვ. წ. 3100 წ.)



აიეტის დიდ კოლხეთის –
წილად მერგო ახდა ფარდის.
აწ რა გვიჭირს მზესთან
მყოფელს.

მხოლოდ ჩემო,
იმათ დარდობ, –
მონატრებულთ ზესთა სოფელს.

2010



აღარ გაშინებს მძვინვარება
ოკეანეთა,
პოსეიდონის¹ გეიმედება
და ასწლეულთა დეღვას იფონებ.
რას იქმ...
მგლისფერი ხშირად გედება,
კოლხეთში ნაშობს ზღვის
და გრიფონის².

2005

1 – პოსეიდონი – ზღვის ღმერთი

2 – გრიფონი – მითიური არსება ღომის ტანით, არწივის თავითა და ფრთებით



უკანა ფშავში

კოპლას ლახტმა მითიდან –
ღამის წყვედიადში იაღა
და არაგვს ძილი გაუკრთა:
დეკთა მოისმა ღრიალი –
აბდელაურის შავ ტბიდან
და მთიდან უძილაურთა.

1977



მილიონი წლის იქიდან –
წამოსული ევფრატიდან
აქ,
სვანეთში შრუანტელად,
ენგურსა და ხაღდეს¹ უვლის
ხმები –
ჩვენი წინაპრების –
ძველ კოლხური –
ქაღდეური².

1972

1 – ხაღდე – სოფელი სვანეთში

2 – ქაღდეველები – პირველი ქართველები დედამიწაზე



ადამი და ნოე

ღელვა ათასწლეულთა,
განა აღარ დაღლიდა,
მაგრამ მუდამ ესმოდა
კოლხს,
ედემის ბაღიდან
ხმები უსათნოესი –
ორი დიდი წინაპრის
ადამის და
ნოესი.

1964



აზნაზეთი – 1992

მაშინ,

როდესაც ემტერა

ძმა

ძმას, ვით აბელს –

კაენი.

დღე იყო ერთი ციდა.

ღამე კი ერთი მტკაველი,

ცა –

მწუხარებას ცრიდა.

1992



უხილაგმა,
რომელმაც,
ზესკნელი და ქვესკნელი
აქუსა და
ამეწერა! –
შენში სძინავს იმ ძალას,
როგორც კვესში –
ნაპერწკალს.

2007



კოლხური ანბანი

ათასეულ წლის წინათ,
ქვეყნად ქრისტეს მოსვლამდე,
დიდმა უფლის მონებმა,
ცად "კოლხური ანბანი" –
ჭეშმარიტად დალანდა:
– იგნატიოს დონელმა¹
და დიოგო² და ლანდამ.

1984

1 – იგნატიოს დონელი – ამერიკელი მწერალი (XIX ს.)

2 – დიეგო დე ლანდა – ესპანელი მეცნიერი (1524 – 1579 წ.)



კოპალა და იახსარი

ამბავს,

ლეგენდას დავურთავ

და სადღაც უძილაურთას:

"ბროლის ქვის კოშკს"

ადი ადი...

ვჭვრეტ:

იქ დევებს მიაწარი!

მოგეშველა ტყუპისცალი –

კოპალა და

იახსარი.

1977



ტობალებს და ტიბარებს

ათი ათასწლეულის მერე,
სადღაც სულეთში,
თუკი ჩუმად უსმენენ:
ლაზურ-მეგრულ სიმღერებს!
აღბათ

ტანში აურუოლებთ –
ტობალებს¹ და
ტიბარებს².

1969

1,2 – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები



მთებში ჩამოდგა მაისი,
მაგრამ შორს,
იქ – "ბურსაჭირის
ფერდობზე" თოვლი არ იძვრის.
"თერგის ღრიალში"
ხმა ისმის,
მოსევე-“მონხუბარიდის”.

1961



სარჩევი

მახვილი მესიის.....	25
*** (უძველესი კოლხეთის).....	26
ძე და შვილი ამონის.....	27
*** (დრო ყოფილა).....	28
სერენადა	29
*** (წყვდიადთან ომებით დაღლილი)....	30
აღფავიტი	31
*** (უჩონჩხოს და უგულოს)	32
ნოე	33
ორფეოსს	34
*** (კვდება და ცოცხლდება).....	35
*** (მთელი ღამე ვარსკვლავები)	36
*** (პირს ვერ ვუხსნი წარსულს დანით).....	37
მზე და მთვარე ფანჯრებია.....	38
ფსიქე.....	39
მუშაირა.....	40
ფსალმუნი და პეონი.....	41
ადერკი.....	42

ქარიტები.....	43
*** (მიღმა სინათლის ათასწლეულთა) .	44
მდენარი	45
*** (მრისხანე უამი პრეისტორიის)	46
ლუკრეცია და ტარკვინიუსი.....	47
საღმრთო ნათელი	48
ბილიკი	49
*** (ბინადრობდა ზეცაში)	50
აიეტის კოლხეთი	51
მისისიპი – მისურით	52
სულის ფრთა	53
1999 წლის 12 აგვისტო	54
ნოუმენს და ფენომენს.....	55
ყულევსა და ქარიატას.....	56
*** (ძველ კოლხეთს არ განებებს)	57
ჭანები.....	58
ღიხს – აქეთ და ღიხს – იქით	59
ვერლენი და მაღარმე	60
ადდგომის კუნძული.....	61
ცისფერყანწელები.....	62
მექაცა და გალილეაც.....	63

ტობანიერს, ხორგას, ჩარგალს	64
გალაკტიონი.....	65
*** (მამის წაბლის ოდა სახლს)	66
*** (ჰომეროსის ხმა ისმის).....	67
*** (ფაზისთან და ენგურთან).....	68
*** (დაუშრია გველეშაპს).....	69
*** (ცხოვრება თურმე თამაშია).....	70
*** (სანამ დაფნის შეკრავ ულოს)	71
უცნობი.....	72
ვარსკვლავთა ფესვებშია მიმაღული	73
ელია და ელისე.....	74
იმ-ჩელმა და იცამნამ.....	75
თბილისი, 1991 წლის ნოემბერ- დეკემბერი	76
*** (გეიმედება ქრისტე).....	77
*** (ისევ მაღლდები დილის მზესავით). 78	
ფისტიკაური	79
*** (პონტოს ზვირთების ქუხილი).....	80
კორიბანტებს, ხურიტებს და ტელხინებს.....	81
*** (ღამის ფსკერზე დარჩენილ)	82

ტატო და ედგარი	83
„ოქროს საწმისი“ და „ეფუთი“	84
*** (მსურს)	85
ეგროსის საფლავი	86
კულტურა ელ. ობეიდის.....	87
ტროული და პელაზგური.....	88
*** (ვარსკვლავების ჩაქრა კვარი)	89
*** (ვითა სუფრა გაწყობილი)	90
კოპალა.....	91
*** (შენც ისე, ვითა ხვთისშვილმა)	92
*** (რბიან ათასწლეულები...).....	93
მედეა და ქალკიოპე	94
ხახმატისა და გუდანის	95
ძველი ქართული ენა.....	96
პოეზიის ციხე-ქალაქები	97
ჩარგალში	98
კიპარისები	99
*** (...მერე ავაზაკები, წილს)	100
ანატოლიას და ფრიგიას.....	101
მთვარე – ქარონი.....	102
წიგნის – „ოქროს საწმისის“ კითხვისას. 103	

*** (აღმოსავლეთ).....	104
*** (ღიმილი ედგა ცას ჰელიოსის).....	105
სამოთხეა სოფელი	106
ატლანტის ოკეანე.....	107
პეტრარკა და ბოკაჩო.....	108
ეკლეპტიკი	109
V, VI ათასწლეული	110
დიდი პოეტი.....	111
ენკენის თვე.....	112
გუდანს, ხახმატს, ბაცალიგოს	113
აქაველთ და აქადებს	114
მარებს და მაკრონებს	115
*** (ზესკნელში და ქვესკნელში).....	116
ძეგლი.....	117
ხილვა: ქრისტე ზეთისხილის მთაზე.....	118
შენ ხარ ვენახი.....	119
შატილი.....	120
ზეესო, პელაზგთა უფალო.....	121
*** (სიყვარული ცეცხლი და ღადარია...)	122
ქარი და ნიავი.....	123

ქართული აღფავიტი.....	124
ისრაელში	125
*** (მივალ ბარისახოში).....	126
ხილვა: ენქი და ზისუდრა.....	127
*** (ათასწლეულების გრგვინვით).....	128
ეფუთი და თაღმუდი.....	129
*** (სხვა არაფერი)	130
ქასქები და მუსკები.....	131
*** (სამშობლო არის ოქრო და ვერცხლი)	132
*** (ვარსკვლავებით მოდარაჯე).....	133
*** (გააცოცხლე და...)	134
ვით ან მარე.....	135
*** (ის კი იცოცხლებს).....	136
ხმა	137
*** (ვით დაამშვენებდა მშობლიურ).....	138
აშურ-ნასირ-აბალი.....	139
*** (ჩემს ყოფნის ცაზე).....	140
*** (ზღვას გაჰყურებს...).....	141
„გეები“ და „ჰომოსები“	142

*** (ამ ცისქვეშეთში მდგარმა დარაჯად).....	143
*** (ვითარცა ქართველის წარსული).....	144
*** (მოულოდნელად დატოვებს).....	145
ფაზისს, იყალთოს და გელათს	146
თარჩია.....	147
ვითარც მეფე მიდასი	148
*** (სანამ ათასწლეულები)	149
*** (კვლავ ბარბაცებს სამყარო).....	150
ქრისტეს მოსვლამდე.....	151
გრიგალი ზღვაზე.....	152
ქართველთა სიბრძნის წყარო	153
„გრაალის მცველ რაინდთა ორდენი“	154
„ხელის მტევნის“ წარწერა.....	155
ხილვა: ნოეს კიდობანი	156
ანანურის ციხესთან.....	157
ხილვა: კოლხები და ქალდეველები.....	158
ფშავი ქალები.....	159
პოეზია საზეპურო	160
ქალდებს და აქადებს.....	161
*** (ადამის ძეთა სისხლით გაღვმილს)...	162

*** (სადღაც დასალიერში)	163
ორფეოსის ხმა ისმის	164
ინგური – ინგირი – ენგური	165
არმაზი და კოდმანი	166
ქაღდანებს და ქარდავებს	167
სვასტიკა	168
ათანასა, სოფრო, ეთმე	169
ენგური	170
*** (ბაბილონი დაეცა და...)	171
*** (თუმცა შუა ზამთარია)	172
ნერეიდა, თემიდა	173
კოპალას ქვასთან	174
სოდომ-გომორი	175
კირიკე – ნანა – რეა-კიბელა	176
*** (მთიები, ვით ანგელოზნი)	177
*** (საიდანღაც ხმა ისმის)	178
კარიელი, პელაზგი და ლელეგი	179
*** (სიშორითა და ღამით დაღლილი) ...	180
ჩემს კოლხეთს წარსული მოპარეს	181
ბაირონ! ემერსონ! შელი!	182
მგლის, რემისა და რომულის	183

სიბრძნის წიგნი „ეფუთი“	184
დნმ	185
*** (შენი).....	186
ჰენიონი, ტაოხნი	187
მოლოდინი	188
*** (ლოცვის მაღალ ტაძარში).....	189
მიშტეკებს, ტოლტეკებს, აცტეკებს.....	190
*** (ვითარც ხალიბურ ოქროს სატევარს)	191
„ადამის ტომთა“ შთამომავალი	192
*** (რადგან ქვეყნად მოვედით)	193
მუშაირა.....	194
*** (ადამის არა)	195
*** (იცოცხლე).....	196
*** (კოლხეთია ქვეყნად ყოფნის).....	197
ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლა- ველი	198
მეფეები და ბეგები.....	199
ქრისტე და აბრაამი	200
მთები	201
ხეთი, შუმერი, მიდიელი	202

რენესანსი.....	203
კაცობრიობა.....	204
მიკვე.....	205
*** (ყოველთვის)	206
კარდუ	207
*** (უამი ათასწლეულთა)	208
თაღმუდი და თორა	209
*** (როდესაც ხსოვნა წარსულს).....	210
ხილვა: პოსეიდონი და კლიტო	211
*** (ფაზისის და პონტოს პირას).....	212
იბერია – IV ს.	213
უძილაურთა.....	214
ეფუთი, გრაალი, საწმისი	215
აპოლონმა მოგცა ღირა.....	216
მაკრალებს და ჰალიძონებს.....	217
პირქუში.....	218
რაფაელის მადონებს.....	219
ქრისტეს, შივას და ვიშნუს.....	220
15 მაისი.....	221
ათონის და სინას მთის.....	222
აპენინის ნახევარკუნძული.....	223

*** (მეცხრე იყავ და).....	224
ძეო ზევსის.....	225
*** (ინათა...)	226
აცტეკებს, მაიას და ინკებს.....	227
*** (ევქსინის პონტოს)	228
რუსტინე, ბესა და მარტინე.....	229
დარიოს I, კირიოს II	230
*** (მემღურის იგი!).....	231
*** (შენ პოეტი ხარ...)	232
ისევ ხეთაში	233
ბიბლია და რეგვედა	234
გაბრიელი და ნიკოლოზი.....	235
„ვანის წარწერები“	236
კრიპტოზოურ ეონის.....	237
*** (უამთა რისხვამ ძვრა ვერ უყო).....	238
*** (ქალდეური სიბრძნის გონი).....	239
მოწამეთა	240
*** (შორით მიმავალ საუკუნეებს).....	241
ქართლის პიტიახშები	242
კოლხური ბაღი.....	243
*** (შენი გონი ციური)	244

*** (შენ არა ხარ ნაშიერი).....	245
*** (ოქროს ჩლიქებიანის).....	246
გიზას, მემფისს, საკარას.....	247
*** (აიეტის დიდ კოლხეთის).....	248
*** (აღარ გაშინებს მძვინვარება).....	249
უკანა ფშავში.....	250
*** (მილიონი წლის იქიდან).....	251
ადამი და ნოე.....	252
აფხაზეთი – 1992.....	253
*** (უხილავმა).....	254
კოლხური ანბანი.....	255
კოპალა და იახსარი.....	256
ტობალებს და ტიბარებს.....	257
*** (მოებში ჩამოდგა მაისი).....	258

מכתב

למועצה המנהלית של "התאחדות המורים" 100-100
בשם המועצה המנהלית, מודיעים לראשי המועצה, מנהלים, חברים
ועובדים, כי המועצה המנהלית של "התאחדות המורים" אינה
מאשרת את המעורבות של המועצה המנהלית של "התאחדות המורים"
בפעילות של "התאחדות המורים" ושל "התאחדות המורים" ב
שום אופן. המועצה המנהלית של "התאחדות המורים" אינה
מאשרת את המעורבות של המועצה המנהלית של "התאחדות המורים"
בפעילות של "התאחדות המורים" ושל "התאחדות המורים" ב
שום אופן. המועצה המנהלית של "התאחדות המורים" אינה
מאשרת את המעורבות של המועצה המנהלית של "התאחדות המורים"
בפעילות של "התאחדות המורים" ושל "התאחדות המורים" ב
שום אופן. המועצה המנהלית של "התאחדות המורים" אינה
מאשרת את המעורבות של המועצה המנהלית של "התאחדות המורים"
בפעילות של "התאחדות המורים" ושל "התאחדות המורים" ב
שום אופן.

מנהל המועצה המנהלית
2020



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 7

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 7

გამომცემლობის

რედაქტორი

– ბოჩა ხარებავა

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუშუბაძე

კორექტორი

– მარი ებნათაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ება და დავით ჯიფშელაძეები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2019



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com